

825
1991

ISSN: 0763 7247



ກະຊວງ

ກາරຕູ້ລັດ ກ່ຽວຂ້ອງລັດ ໄກສອນ ແລະ ລາວ ລາວ

ກະຊວງ

N° 25

PARIS

୧୯୯୧ ອຸດົມ 1991 AOUT

„ვუშაგის“ ამის ჩინა ნომერში ჩვენ ვწინასწარმეტყველებდით: ჯიუტი დიქტატორის სასტიკი დამარცხება გარღვევალია - თქვა. რასაკვირველია, ეს ეხებოდა სპარსეთის ყურის ომს და ერაყის ზიქტატორ სადამ ჰუსეინს. მართლაც, ამერიკის შ. შტ.-ს სამხედრო ტექნიკამ იოლად და მალე გატეხა ერაყულთა სამხედრო ჩინააღმდეგობა. რუსებმა დიდი ყოყმანის შემდეგ დასავლეთთან ცივი ომის განახლება ველარ გაბედეს, მოკავშირე ურაყის დიქტატორს აშკარად გვერდში ვერ ამოუდგენ, ამ უკანასკნელსაც სხვა აღარაფერი დარჩენდა, გარდა იმისა, რომ გაეროს ულტიმატუმი მიეღო და სამხედრო ჩინააღმდეგობა შეუწყვიტა. უცნაურ ომს უცნაური ზავი მოჰყავა: ამერიკა-მოკავშირთა გამარჯვებული ჯარები დამარცხებულ ერაყის ტერიტორიაზე არ შეუშვეს, ერაყის პოლიტიკური წყობილება ხელშეუხები დასტოვეს და მით სადამ ჰუსეინს ნება მისცეს ისე ემოქმედნა როგორც გამარჯვებულს. ამერიკის შ. შტ.-ს მთავრობა ალბათ იმედოვნებდა, რომ სახალხო აჯანყება ან სამხედრო გადატრიალება ბოლოს მოუღებდა სადათ ჰუსეინის რეჟიმს. არ გამართლდა ეს ვარაუდი. ს. ჰუსეინზე ადრე ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის მაგალითმა ცხადჰყო ერთპარტიული დიქტატორების სიმტკიცე. მართალია, ადგილი ჰქონდა ერაყის ქურთების და შიიტური აღმსარებლობის მოსახლეობის მდელვარებებსა და ლტოლვილობებს, მაგრამ ისინი საქმარისნი არ აღმოჩნდენ სადამ ჰუსეინის დასამხობად და ჩვენ მოწმე ვართ თუ როგორი აზიური ცბიერებითა და ეუმაკობით იგერიებს ის მის შინაურ საქმეებში გაეროს სახელით ამერიკის მთავრობის ჩარევას.

აქვე ისიც უნდა აღინიშვნოს: ირანის ტირანული აითოლების რეჟიმის შიშით არაყის არ აშენდს, რომ ერაყის ტე-

რიტორიაზე სამხედრო სიცალიერე წარმოიქმნეს, პრეზიდენტი დანაწილდეს: მეზობელ სახელმწიფო ობიექტი თავი ვეღარ დაიცვას. ყველაფერი ეს წყალს ასხამს ს. ჰუსეინის წისქვილზე.

ერთადერთი პოზიტიური, რაც ომანის ყურის ომს მოყვა, ეს ისაა, რომ ამერიკის მთავრობამ მის შეღეგად ახალი იმპულსი მიანიჭა ისრაელ-პალესტინის გაუთავებელი დავის მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადაწყვეტის საქმეს. გამიზნულ კონფერენციაში საბჭოთა დიპლომატიის ჩაბმას, როგორც მიუმხრობელ მხარეს, ეძლეოდა დიდი მნიშვნელობა. პრეზიდენტების უკანასკნელ შეხვედრაზე მოსკოვში (28 ივლისი-1 აგვისტო) ეს საკითხი არა ნაკლებად, ვიდრე სტრატეგიულ განიარაღების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის, აინტერესებდათ მსოფლიო პრესის წარმომადგენლებს. ამერიკის პრეზიდენტმა დააკმაყოფილა მათი ცნობისმოყვარეობა. მან უზრნალისტებს განუცხადა: პალესტინის საკითხის მოსაგვარებელი მომავალი კონფერენციის თანამომწვევი, ამერიკის შ. ზტ.-ან ერთად, საბჭოთა კავშირიც იქნებათ. ამრიგად, ამ შემოდგომაზე გაიმართება კონფერენცია არაბი პალესტინელებისა და ისრაელის სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის პირებების დასაღენად. წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება კონფერენციის შეღეგაბზე-ვიმედოვნებთ, რომ გონიერება იზეიმებს და ისტორიით დატვირთული პალესტინის მიწა მშვიდობის, კუთილი თანამეზობლობის, თანამშრომლობის, შენებისა და სიუზვის ამჯეყნიურ სამოთხედ იქცევა კვლავაც.

გარდა არაბი-ისრაელის კრიზისისა, ამჟამად არსებობს დიდი იმედები, რომ ახლო მომავალში მშვიდობით გადაწყდებიან ისეთი მტკიცნეული რეგიონული კონფლიქტები როგორიცაა: ავღანეთი, კაბონჯი, ანგოლა, სამხრეთი აფრიკა, ეთიოპია. ყველა ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად ძმათა შორის სისხლი იღვრებოდა. საომარ ჩანარს სულს უბერავდენ იქიდან საბჭოები, აქედან ამერიკა.

***** გმედსა და ვებს ულრიკ *****

ამჟამინდელ სამუშაოებო იმედებსაც ამ გუშინ დელ მოწინდების პერიოდის ურთიერთ ნდობა და დაზავების სურვილ პირობების ბირთვული იარაღის აპოკალიტით უფრო მაღალი კაცობრიობა ერთსულვნად სიხარულით ეგებება ამ მიმართების საჯარო გამოვლინებას, რაც ხელს უწყობს ამ პოლიტიკის შეუქცევა-ლობას. გვინდა თუ არ გვინდა, ხელს გვიწყობს თუ არ გვიწყობს ჩვენ ეს მხედველობაში უნდა მივიღოთ და ამ მდგომარეობას ანგარიში უნდა გაუწიოთ. დაახაც უნდა ვეცა-ლოთ, რომ ამერიკის ძლიერი დემოკრატია თანაგრძნობით გაიმსჭვალოს ჩვენი ეროვნული განთავისუფლების საქმისადმი, მაგრამ ჩვენ მას აუცილებელ პირობად არ უნდა წავუზე-ნოთ, რომ მხარი დაგვიკიროს. არც მისმა უარყოფითა განწყობილებამ უნდა გაგვიტესო გული. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს ეროვნული განთავისუფ-ლების საქმეში გადმწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით ქარ-თველ ხალხს, მის ერთსულვნებასა და სიმტკიცეს.

თუმცა არაა დღესაც იმპერიალიზმის შენიშვნული მაგალ-იები, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კაცობრი-ობამ დღიდ პროგრესი განიცადა მცირე ერთა საერთაშორისო უფლებების დაცვის საქმეში. ერთი ერთ ერთი სახელმწიფოს უფლება არაორაზენონადა აღიარებული გაერთს წევრ სახელ-მწიფოებისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ, მაგრამ დამოუკიდებლობის კანდიდატმა ხალხმა, საერთაშორისო მხარლა კერისთვის, უნდა დაამტკიცოს, რომ იგი კეშარიტუდ ერთი თავისთავადი ერთა. არავითარი მეცნიერული თეორიით ამის დამტკიცება არ შეიძლება. იმისთვის, რომ მსოფლიომ ჩვენი დამოუკიდებლობის უფლება იწამოს, ჩვენს წიაღმა არ უნდა აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი ჯეუფი რესერტის ნების-მიერ ზესახელმწიფოში საქართველოს დარჩენის მომხრებისა და რესერტის პოლიტიკურ საბილიზე აღარ უნდა ჩანდენ ქართველები. ჩვენ ისედაც მცირერიცხოვანი ვართ, მთელი ქართული ენერგია საქართველოს სახელმწიფოებრივობის გან-მტკიცებასა და აღმუნებლობას უნდა მოქმარეს. ამ სა-



კვებით დედის რძესთან ერთად უნდა იკვებებოდეს მარცხლი ქართველი.

ამერიკის პრეზიდენტის ახლანდელი ვიზიტი კრემლში მრავალ მხრივ საინტერესო გამოდგა. აქ ყველაზე უკეთ გამოჩენდა ამერიკის მთავრობის პოზიცია საბჭოთა სახელმწიფოს მომავალი ბედის მიმართ. გარდა მ. გორბაჩივთან მოლაპარაკებისა და სტრატეგიული შეიარაღების, ე.წ. სტარტის შემზღვევაზე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა, ბ-ნება ჯ. ბუშმა პირველ დღესვე იგანხმა რუსეთის ს. ფ. ს. რ. პრეზიდენტ ბორის ელცინთან. ხოლო საბჭოთა კავშირიდან გამომგზავრების წინ ესტუმრა უკრაინის დედაქალაქს და იქ მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიტყვა წარმოთქვა. რა თქმა უნდა, რომ ამერიკა არ ერევა, არ ჩაერევა საბჭოთა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში. მაგრამ ამერიკა ფაქტებს უწევს ანგარიშს და მათგან გამომდინარე:

„საბჭოთა რესპუბლიკებში ადგილი აქვს ეროვნულ მოძრაობებს. როგორც თავისუფლებისაკენ ლტოლვას, ამერიკა სიმპათიით ადგევნებს მათ თვალყურს. მაგრამ მისთვის დამოუკიდებლობა იგივე არ არის, რაც თავისუფლება“ „...ამერიკელები მხარს არ დაუჭერენ მათ, ვისაც დამოუკიდებლობა სურთ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ცენტრის ტირანია შეცვალონ ადგილობრივი დესპოტიზმით. ისინი არ დაეხმარებიან იმათ, ვინც ქადაგებს დამღუპველ ნაციონალიზმს, დაფუძნებულს ერთი ხალხის მეორისადმი მძულვარებაზე.“

„...თავისუფლების შეგნება ხორცს ისხამს უკრაინაში, რუსეთში, ბალტიის ქვეყნებში, სომხეთში“-ო, განაცხადა პრეზიდენტმა.

ამერიკის პრეზიდენტის მნიშვნელოვანი სიტყვის ეს პასაჟები გაღმოცემულია საერთაშორისო სააგენტოების მიერ და არ შეგვიძლია დაგიფიციოთ, რომ ისინი ზუსტად გადმოსცემენ ორატორის აზრებსა და სემანტიკას. მარტო იმ ფაქტმა, რომ ამ სიტყვაში, განვებ თუ შემთხვევით, საქართველო ნახსენები არ არის, ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს.

შევეკითხოთ ჩვენს თავს: რაშია საქმე? არის საქართველოს უსულებულო საერთაშორისო პოლიტიკის მსხვერპლი, თუ ჩვენ მართლაც შევცოდეთ და განვარისხეთ თავისუფლების დმერთები?

ჩვენს მამულში

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ 31 მარტის რეფერენდუმი. ჩვენ გაკვრით შევეხეთ ამ საკითხს გუშაგის წინა ნომერში და ის ზედმეტად მივიჩინეთ, რადგანაც რეფერენდუმი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ არის თვითგამორკვევის აქტი. თვითგამორკვევა კი ქართველმა ხალხმა უკვე გააცეთა 1918 წლის 26 მაისის აქტით და მისი დამტკიცებით დამფუძნებელი საკრებულოს მიერ, რომელც ჩატარდა სრულ დემოკრატიულ პირობებში პირდაპირ და საყოველთა ხმის მიცემით. წლევანდელ 31 მარტს საქ. რესპუბლიკის მთავრობამ მაინც მოაწყო ეს რეფერენდუმი, მასზე არაორაზროვნად დასმული იყო კითხვა:

„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფო ფორმის დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.“

ქართველები რომ მასობრივად თანხმობას განაცხადებდნენ, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა, მაგრამ გავვახარა იმ ფაქტმა, რომ არაქართველ მოქალაქეთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას.

სარეფერენდუმო კომისიის ცნობით, კენჭისყრაში მონაწილეობდა მონაწილეობის უფლების მქონეთა, ე. ი. სრულწლოვან მოქალაქეთა, რომელთა რიცხვი უდრის $3.672\ 403$, $90,79\%$ პროცენტი. ამათგან დადებითად უპასუხა $99,08\%$ პროცენტმა და უარყოფილად $-0,51\%$ პროცენტმა.

კეშმარიტი დემოკრატიული არჩევნების თვალსაზრისით, ეს რეზულტატი საუცხოო და დამაჯერებელია.

მაშ, გარდა საბჭოთა ჯარების არსებობისა, არაფერი არ ეღობებოდა წინ დამოუკიდებლობის აქტის საჯაროდ გამო-



ცხადებას და ეს ნაბიჯიც მალე იქნა გადადგმული და დანართის აპრილს შეიკრიბა საქ. უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სხდომა, რომელმაც პატივი მიაგო რა, ორი წლის წინ ამ დღეს ფინანსში დაღუპულთა და საერთოდ იმ დაღუპულთა ხსოვნას, რომელიც შეეწირნენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ სამოცდაათწლიან ბრძოლას, ხელი მოაწერა საზეიმო ვითარებაში საქ. სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

„საქართველოს სახელმწიფო ფონდრივი და მოუკიდებლობის აღდგენის აქტი“

„საქ. სახელმწიფო ბრივობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართ. ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფო ბრივობის გაუქმების შედეგად. ქართ. ხალხი არასოდეს შეცვებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფო ბრივობა. შეიქმნა საქ. დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხალისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წ. 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქ. სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფო ბრივობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუციია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულიაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქ. -ს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლენაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს



შინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია ჰქონილობის საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქ.-ს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქ.-ს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის მაისის 26 -ს აქტის საფუძველზე.

საქ. სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქ. კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება მიმართული საქ. რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო ნორმების უხეშად დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქ. რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქ. ტერიტორიაზე ცხადდება საქ. რესპუბლიკის ერთერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქ. რესპუბლიკა, ისტრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქ. რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის



„აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული უკრების რჩება განიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.“

თბილისი, მთავრობის სასახლე,

1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.“

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ წერილობრივ მიმართა გართიანებულ ერთა ორგანიზაციის მუდმივ სამდივნოს, მსოფლიოს ხალხების მთავრობებს, მათ შორის სსრკ პრეზიდენტს გ. გორგაჩივს, პარლამენტებს, მათ შორის სსრ კავშირის უზენას საბჭოს და სხვათ.

*

გ უ შ ა გ ი მხურვალედ ესალმება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივის აღდგენის აქტის მიღებისა და მისი საჯაროდ გამოცხადების ფაქტს. ამ ღოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო უფლებათა სარბიელზე. ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, რომ ამ იურიდიულ ღოკუმენტს მოყვება დამოუკიდებლობის ფაქტიური განხორციელება, ეტაპობრივი, მაგრამ დაუყოვნებელი და დაუყოებელი ძალისხმევით ქვეყნის თადაცვის, საერთაშორისო ურთიერთობის, ეკონომიკის, სწავლა-განათლების და კულტურის რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. *

პრეზიდენტის მაღალი პოსტი

უზენაესი საბჭოს სესიამ აგრეთვე მიიღო მნიშვნელოვანი დაღგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თა-



ნამდებობის შექმნის შესახებ, დააკანონა პრეზიდენტის უფლიშა-
მოვალეობანი, საპრეზიდენტო არჩევნების დღედ დაწიშნა

26 მაისი, ხოლო მანამდე პრეზიდენტის მაღალ პოსტზე
ერთხმად აირჩია ბატონი ზვიად გამსახურდია.

შესაბამისად, საქ. რესპ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომა-
რედ არჩეული იქნა, პირველ თანაშემწედ ბრძანებული, ბ-ნი
აკაკი ასათიანი და მის მოადგილედ-ბ-ნი ნემო ბურკულაძე.

26 მაისს ამომრჩეველთა განაჩენს წარუდგენ შემდეგი
პრეზიდენტობის კანდიდატები: ნოდარ ნათაძე, თამაზ კვაკან-
ტირაძე, ვალერიან ადგაძე, ჯემალ მიქელაძე, ირაკლი შენ-
გელაია, ზვიად გამსახურდია.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით:

ამომრჩეველთა საერთო რიცხვი საქართველოში უდრის - 3.548 476
არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.978 527, ე. ი. 83,94 პროც.
აქედან, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას კანდიდატურას ხმა მის-
ცი ამომრჩეველთა 87 პროც. ბ-ნ ვალერიან ადგაძეს - 7 -მა
პროც. ხოლო დანარჩენებს წილად ხვდათ ხმების უმნიშვნე-
ლო რაოდენობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნ ზ. გამსახურდიას
კანდიდატურამ „გასრისა“ მისი მოქიშპე კანდიდატები,
თვით ბ-ნ ვალერიან ადგაძის ჩათვლით, და ერთხელ კიდევ
თვალსაჩინო გახადა ფაქტი, რომ ის არაჩეულებრივად
დიდი პოპულარობით სარგებლობს.

გუშაგი სულით და გულით ესალმება ბ-ნ
ზვიად გამსახურდიას ტრიუმფალურ არჩევას საქართველოს
რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად, ვუსურვებთ გაემარ-
თლებინოს ჩვენი ხალხის ესოდენ დიდი ნდობა, წარმატებით
ეხელმძღვანელოს: საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკი-
დებლობის სრული აღდგენის, მისი სახალხო მეურნეობის
აღმავლობისა და სწავლა-განათლება-მეცნიერება-კულტურის
გარდაქმნის და აუგავების დიალი ბრძოლებისათვის.

ღმერთი იყოს მისი და საქართველოს შემწე-მწყალობელი!

ა ხ ლ ა ზ ო გ ი ე რ თ ი ე ჭ ვ ი ც



შორს მყოფთ, ყოველდღიურ სანდო ინფორმაციებს მოკ-ლებულთ არ შეიძლება, უცდომელის პრეტენზია გვქონდეს, ჩვენ გულით გავიხარებდით თუ ჩვენი ეჭვი არ დადასტუ-რდება და ჩვენი კმუნჯა უსაფუძვლო გამოდგება.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დემოკრატია სა-ხელმწიფოს მართვის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა. იგი ხელს უწყობს შეგნებული, ამაყი, სანდო, ერთგული და კეთილ-შობილი მოქალაქეების აღზრდას და იმავე დროს დემოკრა-ტიული ნიადაგი ყველაზე ნაყოფიერია ქვეყნის ეკონომიკუ-რად განსავითარებლად, რადგანაც იგი ანთავისუფლებს დიდ შემოქმედებით ძალებს. უნდა ისიც ითქვას, რომ დემოკრა-ტია არის მმართველობის ყველაზე ძნელი ფორმა. მის სრულ ყოფილად დაუფლებას გარკვეული დრო ესაჭიროება. დემოკრა-ტიული მმართველობის უზრუნველყოფა განსაკუთრებით ძნე-ლია ეროვნული განთავისუფლების ბრძოლის წარმოების პირ-ობებში. განა საჭიროა ვინახეს უზოტრათ, რომ ჩვენი ქვეყა-ნა სწორედ ამ ფაზაში იმყოფება? თუ ამას მივუმატებთ 70 წლის ერთპარტიულ ტირანიას და პიროვნების კულტს, მათ არ შეიძლებოდა დაღი არ დაესვათ ჩვენი ხალხის პო-ლიტიკურ ყოფა-ქვევაზე, და მართლაც შეინიშნება, რომ დღევანდელ საქართველოში არსებობს მიღრეკილება კვლავ ახალი პიროვნების კულტის შექმნისა. ამ მავნე მიღრეკი-ლებას, რა თქმა უნდა, თავშივე უნდა გამოეცხადოს ბრძოლა. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ბელადობის კულტს საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან.

დამოუკიდებლობის საჯაროდ გამოცხადებიდან ოთხი თვე გავიდა და ჯერჯერობით არავითარი ცვლილება არ ჩანს საერთაშორისო არენაზე. საქართველოს რესპუბლიკის დიპ-ლომბატიამ ვერსად ვერ შესძლო კრემლის მიერ აღმართული საიზოლაციო კედლის გარღვევა, რომელიმე საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოსაგან აქტიური მხარდაჭერის მიღ-წევას. რასაკვირველია, რომ ეს უმთავრესად განპირობებუ-ლია საერთაშორისო დიდი პოლიტიკით და საქართველოს მთავრობას მასზე ხელი არ მიუწვდება, მაგრამ, უნდა ვთ-

ქვათ, რომ ვერც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა
იჩენს იმ საშუალო ენერგიას, რომელსაც ჩვენ მისგან ვი-
ლოდით.



დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თითქმის არაფერი
არ შეცვლილა საბჭოთა კავშირ-საქართველოს ურთიერთო-
ბაში. ალბათ მსოფლიოსთვისაც ისე გაუგებარია როგორც
ჩვენთვის, რომ სამი წლის წინად საქართველოში არჩეული
სსრკ უზენასი საბჭოს დელეგატები დღესაც განაგრძობენ
სხდომათა დარბაზში ყოფნას თითქოს არაფერიც არ მომხ-
დარიყოს საქართველოსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ჯერჯერობით არ ჩანს არავითარი ნიშანი საბჭოთა ეკონო-
მიკის არტახებიდან საქართველოს ეკონომიკის ოდნავი შემ-
სუბჟექტისაც კი.

გორბაჩივის საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც უკიდურესი
აზიური ცბიერებით მოქმედებს, საქართველოს ფაქტიურად
მოსწყვიტა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორი-
ები. თუ ეს ფაქტიური მდგომარეობა გაგრძელდა, შემდეგ
შეუძლებელი თუ არა, ძალიან გაძნელდება მათი უკან დაბ-
რუნება და ეს იქნება უპატიობელი სისუსტე. ეროვნული
ოპოზიციის ძალები რომ სისხლსავსენი იყვენ, მათი აქტივობა
სწორედ ამ სამამულო ურონტზე უნდა იყოს თვალსაჩინო.
საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის საერთაშორისო
პატივისცემისა და დიპლომატიური აღიარებისათვის ძალიან
დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ტერიტორიისა და სა-
ზღვრების პყრობას.

ლიტვამ, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, მის სა-
ხელმწიფო საზღვრებს დაუწყო დაპატრონება, რის გამოც
საბჭოთა დამსჯელი ორგანოები თავს ესხმიან მის საბაჟო
პუნქტებს. იღვრება ლიტველ დამცველთა სისხლი, მაგრამ
ეს სისხლისღვრა აუცილებელი და საჭიროა. იგი აღულაბებს
ლიტვის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მის მიმართ
თანაგრძნობით ანწყობს მსოფლიო საზოგადოებრიობას და
შეუქცევადად ხდის მის ეროვნულ დამოუკიდებლობის დიად
საქმეს.

იგივე ფენომენს ადგილი აქვს იუგოსლავიის ფედერაციის

კრიზისში. პატარა სლოვენიამ და ხორვატიამ ფაშისტურისტები დებლობა გამოაცხადეს. პირველი, რაც მათ გააკეთეს, ეს იყო ის, რომ მათს ეროვნულ საზღვრებს დაეპატრონენ. ფედერატიული ჯარები, რომლებიც ფაქტიურად სერბიის ინტერესებს ემსახურებიან, შეეცადენ, ხელახლა იუგოსლავიის ფედერაციის კონტროლი აღედგინათ. სლოვენიისა და ხორვატიის დამცველებმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს. დაიწყო სისხლისმღვრელი ომი. ომმა ააღელვა მსოფლიო, განსაკუთრებით ევროპა, ვინაიდან იუგოსლავია ცენტრალურ ევროპას ეკუთვნის. კრიზისის დასაწყისში ევროპის გაერთიანება მისი დიდი უმრავლესობით პრინციპიალურად წინააღმდეგი იყო იუგოსლავიის შემადგენელ რესპუბლიკებად დაშლის. დღეს კი, პირიქით, ევროპის კომუნა მხარს უჭერს სლოვენიისა და ხორვატიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას და ამ პრინციპზე ცდილობს ითამაშოს შუამავლის როლი და უომრად და უსისხლოდ, მოლაპარაკებით შეათანხმოს მეომარი მხარეები.

რასაკვირველია, იუგოსლავია საბჭოთა კავშირი არ არის და არც სერბიის იმპერია შეედრება რუსეთისას, მაგრამ, როგორც ეროვნული განთავისუფლების ერთ-ერთი მაგალითი, ის უეჭველად გასათვალისწინებელია და ეს მით უფრო, რომ სლოვენიისა და ხორვატიის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ჩვენს პარალელურად მიმდინარეობს და ბევრითაც წააგავს საქართველოს ბრძოლას.

1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნების შემდეგ უზენაეს საბჭოში, საქართველოს გააჩნდა დიდი უპირატესობა ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკასთან შედარებით, რათა სწრაფი და ღრმა რეფორმები განხორციელებულიყო და მას ერთ პირველთაგანს ფეხი შეედგა რაციონალური მეურნეობის და სიუხვის სამყაროში. საბაზრო ეკონომიკაზე, კერძო ინიციატივაზე, საფინანსო რეფორმებზე თუ პირვარიზაციაზე მას შემდეგ ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ფაქტიურად ეკონომიკური გარდაქმნები გაყინულია. ძველი კომუნისტურ საბჭოური სტრუქტურები რჩება უკომუნისტებიდ. როგორც მოსალოდნელი იყო ასეთ შემთხვევაში, ადგილი აქვს ძლიერ მაღალ ინფლაციას, ფართო მოხმარების საგნე-



ბის, პირველ რიგში საკვები პროცესურების გაქრობას უსწორებს ელექტრიულ მიმოქცევის მაღაზიებიდან, ხოლო ბაზარსა და ხელფასებს შორის სულ თანდათან უფსკრული ჩნდება ... ზაფხული კი იწურება და ზამთრის ფონზე შიმშილის საშიშროების აჩრდილი მოჩანს...

რ ე დ ა ქ ტ ი რ ი

* * *

რ ა მ გ ა დ ა რ ი ა თ . ნ ა ს ყ ი დ ა შ ვ ი ლ ი ?

ამ აპრილის დღეებში, როცა ცალკე, ნახევარი საუკუნის მერე, სამშობლოში მოსალოცველად ვემზადებოდი და ცალკე საკუთარ ავალმყოფობას ვებრძოდი, თამაზ ნასყიდაშვილისა-გან დიდი ვირული წინელი მივიღე მისი: „ვინ არის პაპუნა!“ -ს სახით. (ვინაიდან არ ვიცი თუ ვის დაეგზავნა ეს წერილი, აქვე ვაძვევნებ მის ფოტო-ასლს.)

როგორც ამ წერილიდან ჩანს, ნასყიდაშვილის რისხვა გა-მოუწვევია „გუშაგი“ №24-ში დაბეჭდილ პაპუნას სტატიას: „ოსური ხაფანგი“. მარტო ის ფაქტი, რომ „პაპუნა“ ფსევდო-ნიმია, მას აგიუბს და ისტერიაში აგდებს: „ვინაა პაპუნა?“, „ვინ იმაღება პაპუნას ფსევდონიმს უკან?“, „ვინაა ეს ინდი-ვილი...?“, „ვინაა ეს მჯღაბნელი..?“, „ვინაა ეს ანონიმი...?“, და ასე შემდეგ.

რამ გადარია ეს კაცი? ჯერ ერთი, არცერთ ცივილიზაციულ ქვეყანაში აკრძალული არაა, რომ უურნალ-გაზეობმა სტატია-კორესპონდენციები ფსევდონიმებით აქვეყნონ, და ეს მით უმეტეს, როცა გამოცემის პასუხისმგებელი ცნობილია. მეორე და მთავარი, მე პირადად პაპუნას სტატიაში ვერ ვხედავ ვერაფერს, რასაც თ. ნასყიდაშვილის მეუღლისათვის შეურაცხ-ყოფის მიყენება შეძლებოდა. არც არავითარ ცილისწამებას მასში ადგილი არ აქვს. ამის დასტურად მკითხველს მოვა-გონებ პაპუნას სტატიის მთელ პასაუს, რომელიც თ. ნასყი-დაშვილის მეუღლეს ეკუთვნის: „...რა გვეთქმის ადგილობრი-ვად დატრიალებულ ცოდვასა და განუკითხაობაზე, როცა აგერ ჩვენს შორის, პარიზში მცხოვრები, ჩამომავლობით ოსი და ქართული ოჯახის დედა, სრულებით იზიარებს ოს სეპარატისტთა და რუს იმპერიალისტთა ვერსიას, სრულ პა-



სუხისმგებლობას ქართველი ხალხის მიერ ახლად არჩეული მიზანი გრობას აკისრებს და, მაშ, ლოლიკურად, გორბაჩივები ზეაღმდეგ საქართველოში სამხედრო ინტერვენცია რომ განახორციელოს, მან აღფრთოვანებული ტაში უნდა უკრას? "

ესაა და ეს თ. ნასყიდაშვილის მეუღლეზე. აქ, ცხადია, არც მის ქებას აქვს ადგილი, მაგრამ—არც შეურაცხოფას, არც ლანძღვა-გინებას არა აქვს ადგილი. რაც შეეხება იმის თქმას, რომ ეს ქალბატონი სრულიად იზიარებს ოს სეპარატისტთა ვერსიას ადგილზე კრიმინელურ მოქმედებათა თაობაზე, ეს ორივე ცოლქმარმა თვითვე საჯარო ფრანგული პრესით დაადასტურეს. პაპუნა და გუშაგი გმობენ ამ მიკერძოებას, არა იმდენად ოსი ხალხის მიმართ, არამედ იმ უგუნურ და ბრიყვ სეპბისადმი, რომელთაც იქნებ ჰგონიათ, ოსეთს ემსახურებიან, მაგრამ სინამ-დვილეში რუსული იმპერიალიზმის იარაღნი არიან.

ამ ვაჟბატონის ზოგიერთი რისხვა გამოწვეულია მისგან ქარ-თული ტექსტის შინაარსის გაუგებრობით. მაგალითად, ეტყობა რომ მას სწორად ვერ გაუგია: "...მაშ, ლოლიკურად, გორბა-ჩივმა ხვალ საქართველოში სამხედრო ინტერვენცია რომ გა-ნახორციელოს, მან აღფრთოვანებული ტაში უნდა უკრას?" მას ვერ გაუგია, რომ აქ ზმნა: "ტაში უნდა უკრას?" პი-რობით დროშია დაყენებული და ის არ ნიშნავს, რომ: "ის ტაშს დაუკრავს!" ეს სამწუხარო უცოდინარობა ჩვენი დედა-ენისა, გარდა ერთი თუ ორი გამონაკლისისა, საერთოა აქ, უცხოეთის მიწაზე აღზრდილი თაობისათვის. მათ შორის ცო-ტამ იცის ლარიბი ქართული, რომელიც დედისგან შეუსისხლხო-რცებია, მაგრამ ქართულ მწერლობას არ კითხულობს, ქართული ენის გრამატიკას არ სწავლობს, წარმოდგენა არ აქვს ქარ-თული ზმნის სამყაროზე. უბედურება იმაშია, რომ ეს მთავა-რი ნიშანი მათი ეროვნული გადაგვარების, მათ არ ადარდებთ, ოდნავადაც არ ცდილობენ შეიცხონ ცოდნა, პირიქით, ზოგიერ-თი კიდევაც ქედმაღლობს თავისი უცოდინარობით.

ჩვენს პირად ურთიერთობაზე

მე არ ვიკაღრებ, რომ თამაზ ნასყიდაშვილის პირად და ოჯა-ხურ მდგომარეობაზე ვილაპარაკო, მაგრამ ვინაიდან ის ბრალს
(იხ. გაგრძელება 16 გვერდზე)

QUI EST PAPOUNA ?

Au cours de ces dernières années, j'ai souvent été pris à parti par le Directeur du journal GOUCHAGUI. J'ai même eu droit à un chapitre d'un ouvrage intitulé "Les maux de la Géorgie". Dieu m'est témoin que je n'ai jamais répondu à ces attaques personnelles.

Aujourd'hui, la chose est différente. Dans le GOUCHAGUI N° 24 (février 1991) un certain PAPOUNA s'en prend ignominieusement à ma famille.

Dans un article intitulé "Le traquenard ossète", PAPOUNA n'hésite pas à traiter implicitement ma femme (Présidente de l'ASSOCIATION OSSETE en FRANCE) d'ennemie de la Géorgie et, même, d'affirmer qu'elle pourrait applaudir à une intervention militaire de Gorbatchev en Ossétie du Sud.


Je ne m'étendrais pas sur l'analyse d'une argumentation fallacieuse (omettant la citation des faits et passant sur les points importants pour aboutir péremptoirement à un jugement inique) pour ne traiter que du fond et poser quelques questions. Qui se cache derrière le pseudonyme de PAPOUNA ? Qui est cet individu qui n'ose pas signer ses insultes ? Qui est ce plumitif qui ne peut comprendre que l'on peut s'en prendre à la politique d'un gouvernement géorgien sans pour autant cesser d'aimer les Géorgiens ? Qui est cet anonyme qui n'admet pas qu'une fille d'Ossétie puisse défendre sa nation martyrisée sans pour autant "communier à l'impérialisme russe" (sic) ? Qui est-il pour ne pas oser signer sa suffisante insuffisance ? Faut-il qu'il ait conscience de sa bêtise et de sa lâcheté pour s'avancer ainsi masqué ! Au mépris de toute déontologie ! Connait-il seulement le sens du mot déontologie ? (Il faut dire que le journal dans lequel il écrit n'hésite pas à l'ignorer, qui, à la suite de son article, ose publier une réponse adressée à ma femme par le Soviet Suprême de Géorgie sans mentionner la lettre qui a motivé cette réponse ni la réplique qui lui a été donnée). Que penser de ces "oublis" ? Que penser de ces insinuations et de ces propos diffamatoires ? Que penser de telles méthodes ?

S'agissant de méthodes, on peut clairement constater que celles de PAPOUNA sont staliniennes : falsification + amalgame + procès d'intention.

Ces relents staliniens sont probablement les miasmes d'une première éducation à laquelle on a adhéré et dont on ne peut se défaire.

Mais, concernant ma femme, il y a plus grave. Les termes même de l'article traduisent nettement un mépris intolérable. Mère de famille géorgienne, elle ne serait respectable que dans cette qualité. Membre active (ô combien !) de la communauté géorgienne, elle ne serait reconnue que dans ce contexte. C'est faire peu de cas de sa personne ! C'est lui nier tout droit à un passé, à une histoire, à une patrie. Elle ne serait valable et fréquentable que si totalement phagocytée par la société géorgienne. Ce mépris est méprisable et il ajoute le racisme à la lâcheté.

Pauvre PAPOUNA ! Pauvre GOUCHAGUI !



Thamaz NASKIDACHVILI,

mari de Thérèse NASKIDACHVILI-BITAROFF

მდებს, თითქოს ამ უკანასკნელ წლებში მე მას ვმტრონდები, თავს ვესხმოდე საჯაროდ, ის არ მპასუხობს, მე კი მოსვერებას აღარ ვაძლევ და ახლა კი მის ოჯახსაც აღარ ვინდობ, საჯმის კურსში არ მყოფ კაცს შეიძლება აფიქტებინოს, რომ მე შეიძლება, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მართლა ვმტრობდე და შურს ვძიობდე მასზე. ძვირფასო მკითხველო, მერწმუნეთ, რომ არავითარი შუღლი და მტრობა არ მქონებია არასოდეს თ. ნასყიდაშვილის და იმის ოჯახის მიმართ. პირი-ქით, თუმცა არაუერი სამსახური არ გამიშვია მათთვის,

მაგრამ დიდი თანაგრძნობითა და პატივისცემით კი ვიყავი მათდამი განწყობილი, რადგანაც მეგონა, რომ ამ ოჯახის სახით ჩვენს ემიგრანტულ საზოგადოებას და ქართულ საქმეს საფრანგეთში ჰყავდა ერთგული ჭირისუფალი. თანდათან თ. ნასყიდაშვილმა არა მარტო ჩემი, არამედ ჩვენი სათვისტომოს უმრავლესობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა...

ხანი გამოხდა. თითქოს ბევრი შექება თავში აუგარდა. ჭკუის სწავლებისა და მორალის გადვეთილების საჯაროდ მიცემას მოუხშირა. ბოლოს, მოძღვარ ილია მელიას გარდაცვალების შემდეგ წმინდა ნინოს ეკლესიის ერთპიროვნული გამგებლობაც მოინდომა და თავს იმდენი ნება მისცა, რომ, მიუხედავად ხატ-ზე და ჯვარზე დაფიცებისა, სათვისტომოს დარბაზში შესავლელი გასაღები არ მანდო. უკანასკნელად ეკლესიის სამრევლო საბჭოს კრებაზე მან თავს ნება მიცა საქართველოს ეკლესიის გაკრიტიკების. ასეთ შემთხვევებში მე მაშინვე ვაკრიტიკებდი, შეიძლება ზოგჯერ ფიცხადაც, მაგრამ არასოდეს მტრულად, არასოდეს ბოროტად. არასოდეს არ დამიცინია, არ გამილანდავს, მისი და მისი ოჯახის ღირსება არ შემილახავს, მან კი ამდენი ხაშმი გადმომანოხია. ღმერთმა შეუნდოს! მე კი სანამ მივუტევებდე, მანამ, როცა პირველად შევხვდები ჩვენ საზოგადოებაში, ჩემი ლაჩრობა უნდა გავაცნო.

„ტ რ ი ს ტ ჟ ე რ ტ ი ?“

„ტრისტ ჟეორჟი“ (საბრალო, საცოდავი საქართველო) ეწოდება თამაზ ნასყიდაშვილის წერილს, გამოქვეყნებულს სატრანსლატოს მემარცხენე ყოველდღიურ გაზეთ „ლო მონდში“ (25 აპრილი 1991)



როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გამოხტომამ, ამასთვის რომ რისო დასმენამ დიდი მითქმა-მოთქმა და გმობა გრძირისაგრძელებული საზოგადოების უმრავლესობაში, როგორც ჩვენ სამშობლოში, ისე მის გარეთ. მაგრამ პოლიტიკური ემიგრაციის სამარცხინოდ უნდა ითქვის, რომ მან ამ საკითხშიც თავისი არ არსებობა დაადასტურა. ამ მხრივ მე განსაკუთრებით მხედველობაში მყავს საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს გამგეობა, რომელსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა იმის გამო, რომ ფრანგულმა გაზრდა თ. ნასყიდაშვილი მკითხევებს წარუდგინა ჩვენი საზოგადოების ყოფილ თავმჯდომარედ. საბედნიეროდ ჩვენი ემიგრაციის უმრავლესობის გულისწყრომა მაინც გამოთქვეს საჯაროდ: ოთარ ზურაბიშვილმა, რომლის საპასუხო წერილიც მხოლოდ ერთი თვის დაგვიანებით გამოაქვეყნა აღნიშნულმა ფრანგულმა გაზრდა, და ბ-ნმა ლელევან ფალავამ, რომელმაც მის „ჩვენი დროშა“ -ში არაორაზროვნად დაგმო თ. ნასყიდაშვილის მოქცევა.

თავიდანვე ხაზგასმით აღვნიშნავ: თამაზ ნასყიდაშვილს კრიტიკის უფლებას არ ვართმევ, მის მოქმედებას იმიტომ არ ვგმობ, რომ ის ბედავს ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების კრიტიკას, არა! ობიექტიური კრიტიკა რომ იყოს მე მიევსალმებოდი მას, რადგან მას მიექცია კრიტიკა კურნავს, აჯანსალებს რეჟიმს, საზოგადოებას, ერს. მე მას ბრალს ვდებ ცილისწამებაში. „ტრისტ უეორჟი“ ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებული ცილისწამებაა და მისი ავტორი მოლალატეა ქართველი ერის, საქართველოს სახელმწიფოსი.

„...სადაა დემოკრატია, როცა მთავრობა არად აგდებს ადამიანის უფლებებს, როცა ის აწარმოებს ნამდვილ რასისტულ აგრესიას ერთ-ერთი მისი ეროვნული უმცირესობის მიმართ? ფლეს, გამსახურდიას წყალობით, ქვეყანაში, რომელიც თავს იწონებდა როგორც ქვეყანა, რომელმაც არ იცის პოგრომები, რელიგიური ომები ან ეთნიური ბრძოლები, —ოსებს ძარცვავენ, ამშევენ, სცემენ და გვემენ, იტაცებენ, აწამებენ, ჰკლავენ!..“ ბრალმდებელივით აცხადებს თ. ნასყიდაშვილი. არის აქ რამე სიმართლის? მართლა მარტო ზვიად გამსახურდიაა დამნაშავე ისებისა და ქართველების ანტაგონიზმის, ურთიერთ მიხტომისა და ხოცვა-ულეტის? ამას რომ პასუხი გაეცეს საქართვა, მოკლედ

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
გენერალური

მაინც გავეცნოთ ე. წ. სამხრეთ ოსეთის მძიმე პრობლემას.
რა სასწაულით გადავრჩით?

საქართველოს ისტორიას ვინც თვალს გააყოლებს, უკველად დაებადება კითხვა: რა სასწაულით გადურჩა ქართული რასა, ქართული ჯიში და მოდგმა ამდენ წამლეკავ შემოსევებსა და მძღვრ იმპერიათა ხანგრძლივ ბპყრობელობას? მართლაც საოცარია ჩვენი ხალხის გამძლეობა! მაგრამ ამის ასახსნელად სასწაულები არ უნდა მოვიხმოთ. თუ, რასაკვირველია, სასწაულად არ ჩავთვლით კავკასიონის მთაგრეხილს, ცამდის ატყორცნილს და გადაჭიმულს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, რომლის ხევ-ხუცები და გამოქვაბულები ბუნებრივი თავშესაფარი იყვენ სამხრეთიდან ძლეული ლტოლვილი ქართველებისა. მუდამ თოვლიან-ზინულიანი გარდაულახავი მთები ქართველებს დარაჯობდა ზურგიდან, ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ შემოსევებისაგან.

აი ეს ჩვენი მოდგმის მხსნელი ბუნებრივი ჯებირი უნდათ ჩვენს მტრებს, ერთ წყება რუსებსა და ოსებს, რომ მოგვინგრიონ, გადმოგვილახონ და დამკვიდრდენ ქართლის შუაგულში, მძევლებად აგვიყვანონ, გვიყოლიონ მუდმივ მუქარის ქვეშ, რათა შეუძლებელი გახადონ ქართული ეროვნული მეობის, თავისთავადობის, თვითხელმწიფების გამოვლინება.

ვისაც ეს ანბანური ჭრიშმარიტება არ ესმის და არ უნდა დაიჯეროს, ის უვიცი ბრიყვია, ვისაც კი ესმის, მაგრამ მოსაჩერებლად მიზეზებს ეძებს რომ პასუხისმგებლობა ქართველებს დააკისროს ის: თუ ქართველია, სამშობლოს მოლალატეა, ხოლო თუ არაქართველია, ის მოსისხლე მტერია საქართველოსი. ეს უკანასკნელი თუ ეროვნებით ოსია, მას ზოგჯერ შეცდომით სეპარატისტს უწოდებენ. სეპარატისტია ის, რომელიც მრავალეროვან უნიტარულ სახელმწიფოდან მის სამშობლოს სეპარაციას, გამოყოფას ცდილობს. ოსი საქართველოში ხიზანია, საქართველო მისი ისტორიული სამშობლო არ არის და არც იარაღით ხელში დაუპყრიათ იგი მის წინაპრებს, ამიტომ ეს ვაჟბატონი საერთაშორისო შარა-გზის ყაჩაღია და არა სეპარატისტი. სემანტიკას აქ აქვს დიდი მნიშვნელობა. მას შეცდომაში შეყავს საერთაშორისო აზრი. ვერაგი მტერი ყველა საშუალებას ხმარობს, გზა და კვალი არიოს, თეთრი შავ-ად და შავი თეთრად გაასალოს.



ქართლის ცხოვრების სათავეებშივე მოხსენებული და მომდევნობის სისტემის მიზანი მათი სამეფო ჩრდილო კავკასიაში იყო მუდამ, ჯერ მდინარე თერგის ზემო და შუა აუზში, შემდეგ კი ხაზარებმა, ყივჩაყებმა თუ მონგოლებმა ისინი შეავიწროვეს და მაღალ ხრიოკ მთებში შემორეკეს. ოსეთის სამეფო ხან მტრობდა, ხან მოკავშირობდა საქართველოს სამეფოსთან ან საერისმთავროსთან. ქართველები ასებს დიდ მფარველობას უწევდენ, მათში ქრისტიანობა შეიტანეს, ერთხანს მჭიდრო დინასტიური ურთიერთობაც დამყარდა ორ სამეფოს შორის და, როგორც მოგეხსენებათ, ოსეთის უფლისწული დავით სოსლანი თამარ მეფის მეუღლე და საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე-ების ბატონი მამა გახლდათ საქართველოს ისტორიამ იცის აგრეთვე ოსების შემოსევის ფაქტები დაპყრობის მიზნით, მაგრამ ისინი ყოველთვის განადგურებული ყოფილან ან გადა-რეკილნი კავკასიონის მიღმა. მხოლოდ *XVI* საუკ. ბოლოდან

დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ისიც მის უკიდურეს ზემო წელში, სამშობლოდან შიმშილს გამოქცეულ-მა ოსმა ხიზნებმა იწყეს ნელნელი ჩამოსახლება და ეს პროცე-სი მერე სულ უფრო ძლიერდებოდა. ოსების ხიზნობას ისიც უწყობდა ხელს, რომ ამდროს სპარსეთთან და ოსმალეთთან გაუთავებელ თავდაცვით ომებს ეწირებოდა დიდალი ქართვე-ლობა და მაღალმთიან სოფლებში განსაკუთრებით ქართველი მუშახელი იშვიათად იპოვებოდა. ქართველ თავად-აზნაურებს, მემამულებებს მაშინ აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ მათ მი-წა-წყალს ოსი ჯაყობებისგან საფრთხე ელოდათ. *1801* წლიდან მოყოლებული საქართველო რუსეთმა დაიპყრო, ქართული სახელ-მწიფო და მმართველობა გააუქმა, რუსული ენითა და აღმინი-სტრატიით „გაგვაძენიერა“. რუსული აღმინისტრაცია დიდი რუსეთის პოლიტიკით ხელმძღვანელობდა, რომელიც ქართველი ერის დასუსტებას ისახავდა მიზნად. ამისთვის კი მისწრება იყო საქართველოს ტერიტორიის ეთნიური აჭრელება. ეს საქა-რთველოს დამღუპველი პოლიტიკა გრძელდება ორი საუკუნის განმავლობაში, ქართველების გაუგებარ პასიურობის პირობებში, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართველი კომუნისტი

ხელმძღვანელობის მოღალატეობას მშობელი ერის მიმართ დამოუკიდებლობის გთარი გამართლება ვერ მოენახება. ხელისუფლების ხელში ჩატარდების წყურვილით გაგიერდული, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ისინი ოსებს აჯანყებენ და მოუძღვებიან საქართველოს დასარჩევად და ასაწილებლად; ხოლო მას შემდეგ, რაც სამშობლოს თავისუფლებას რუსული დანით ყელი გამოსკრეს, ქურდბაცაც ას მეამბოხეებს, ალბათ ბოროტმოქმედების გასამრჯელოდ, სახელმწიფოებრივი სტრუქტურა შეუქმნეს ავტონომიური ოლქის სახით. ახლა კი კრემლის დეზინფორმაცია საქვეყნოდ ავრცელებს ცნობას, რომ თითქოს ქართველ სტალინს ოსეთი ორ ნაწილად გაეყოს, ჩრდილოეთი ოსეთი რუსეთისთვის შეერთებიოს და სამხრეთი ოსეთი საქართველოსთვის. აი, ასეთ უსინდისო ტყუილსაც კი არ თაკილობენ საქართველოს სახელმწიფოს მტერი რუსები და ოსები. ქართველი ხალხის ეროვნული ტრადიცია უფრო იმაშია, რომ ამ აშკარა მტრების წისქვილზე წყალს ასხამენ თ. ნასყიდაშვილის მსგავსი ვაი-ქართველები. როგორ ჰგავს მათი აზროვნება და მოქმედება ამ საუკუნის ოციანი წლების ერის უარმყოფელი ბოლშევკებისას, რომელთა დევიზი იყო: მშობლებს მოვახრჩო, სამშობლოს დაგდლავ თუ კი მიბრძანებს რევოლუცია - მ.

გვინდა თუ არ გვინდა, ერთი საჭიროობოტო კითხვა იჭრება ჩვენს წინაშე: ეს რა ღვთის წყრომა სჭირს ქართველობას? ნუთუ მასში უსაზღვრო მამულიშვილობაბასთანერთად თანდაყოლილი სავალალო ეროვნული ნაკლია სამშობლოს მოღალატეობა?

საბჭოთა ტირანიის არსებობის პირობებში რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ავტონომიურ ოლქად, რესპუბლიკად, თუ უბრალოდ, რესპუბლიკად გამოყოფას, ყველა ერთი მათრახით ილახებოდა და მემათრახე კრემლში იყო მოკალათებული. ის ყოვლის შემდეგ იყო. მის ხელთ იყო მილიონობით ხალხების სიკვდილ-სიცოცხლე. იგი აღგილიდან ჰყოფილ და განუკითხავად ასახლებდა სამკვიდროებიდან მთელ რიგ ხალხებს.

მაგრამ უელაფერს აქვს ბოლო და აი, მოვიდა ამ ურჩხულ-

რამ გადარია თამაზ ნასყიდაშვილი?

21



ის აღსასრულიც. როგორც კი მას სასიკვდილე ცახცახის დროის მთავარის გადასაჩენად დაუყოვნებლივ იწყეს მოქმედება დიდი რუსეთის სახელმწიფოს კირისუფლებმა. დრო მომზადებისათვის საკმაო ჰქონდათ, რადგანაც პირველი ნიშნები სტალინის სიკვდილის-თანავე ჰქონდათ. საქართველოში რუსული იმპერიალიზმის პოლენ-ციურ მოქავშირედ ყოველთვის ითვლებოდენ ეროვნული უმცირესობები. ახლაც ამ ნაცად იარაღ დაუწყეს მომზადება. საბჭოური ცენტრალისტური მმართველობისთვის ძნელი არ იყო მისი სანდო და ერთგული კადრები მოემზადებია და დაეწინაურებია საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური წარმონაქმნებისათვის, მათოვის პრივალეგიური პირობები შეექმნა და მუდმივ ხელში შემყურე მდგომარეობაში ჰყოლოდა. ამ პრივალეგიურ ეროვნულ უმცირესობის ელიტებს, როცა დრო მოვიდოდა, უკიდურესი ნაციონალიზმის დროშები უნდა. აღმართათ და მოსკოვის იმპერიისთვის საშიშ ქართულ ეპიონად იზმის უნდა გადალობებოდენ წინ. სწორედ ასე მოხდა აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და სხვა უბნებზეც თითქმის ერთსა და იმავე დროს. ყოვლად შეუძლებელია, წარმოუდგენელი და დაუშვებელია, რომ ამ მოვლენათა დირიქორი ვინმე ქართველი მოღვაწე ყოფილიყო. ქართველებიც, ოსებიც, აფხაზებიც და სხვებიც შემსრულებლები იყვენ, ხოლო ორკესტრის ნაბეჭდი კრემლში უნდა წარმოებულიყო.

ახლა ფაქტებზეც ვილაპარაკოთ.

1988 წელში, კერძოდ ნოემბრის თვის ბოლო რიცხვებში ეროვნული გამანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში უმაღლეს სტადიოაში იმყოფება. თბილისში, მთავრობის სასახლის წინ ასი არასობით უკმაყოფილ მოსახლეობა საპროტესტოდ იკრიბება და შიმშილობს. მოსკოვში ამ დროს ცდილობენ კანონი მიიღონ, რომელიც შეუძლებლად გახდის მოკავშირე რესპუბლიკების გასვლას საბჭოთა კავშირიდან, რაც ქართველებისთვის მიუღებელია. თბილისის მანიფესტანტთა მოხხოვნები აშკარად ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ხასიათისაა და სრულიად მშვიდობიანი. მისი დარბევა და ძალით გარევა დიდათ ავნებს მიხაილ გორბაჩევის ჯერ კილევ გაუმაგრებელ საერთაშორისო პრესტიგს. კრემლის ხელისუფალნი შეცდომას არ აკეთებენ. დროებით უკან იხევენ. თბილისის მანიფესტანტების მოხხოვნილებებს ნაწილობრივ აკმაყოფილებენ, მაგრამ მალე საქართველო

მათ მახეში აღმოჩნდება. უკვე -შემდეგი წლის გაზაფხულზე მოწოდებული უქსტაციები შეუმჩნევლად თბილისიდან პერიფერიულისაკენ ინაცვლება. პირველი თეატრი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაა, ყბადაღებულმა „ლიხნის მანიფესტმა“ რომ გამოიწვია. ამასაც ხომ ზვიად გამსახურდის ვერ დააბრალებენ მისი პოლიტიკური მტრები? ახლა აფხაზეთის ოპერაცია ცხადია: კრემლის ხაზეინებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, სოხუმში ჩაეტყუბიათ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტივისტები და იქ მათ გასწორებოდენ, როგორც მცირერიცხოვან, სუსტ აფხაზების მჩაგვრელებს. ქართველები დროზე მიუხვდენ სტრატაგემას; მათი საპროტესტო მანიფესტაციები სწრაფად ჩასვა თბილისში გადმოიტანეს, სადაც დამოუკიდებლობის ლოზუნგები გამოიტანეს. ცენტრალური ბიუროკრატია დროზე ვერ გაერკევა მდგომარეობაში, სოხუმში დაგემილი რეპრესია ცბილისში განახორციელდა.

1989 წლის ცხრა აპრილს.

აფხაზეთის ამბებს თან მოჰყვა სამხრეთ ოსეთის არეულობა. ორივე კუთხეში სამოქმედო თარგი ერთი და იგრევ იყო: შიდა და გარე სამყაროს საზოგადოებრივი აზრის განწყობა საქართველოს დამოუკიდებლობის მოძრაობის წინააღმდეგ, ეთნიური რევოლუციური აქციის. კრემლის ეს მიზნები მიღწეული იქნა **1989 - 90 წლებში**, სანამ ზვიად გამსახურდა მოვილდა ხელისუფლების სათავეში. რაც სამხრეთ ოსეთი უქეშება ფაქტები შემდგა მეტყველებენ: სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული ჩამოშორება საქართველოდან უკვე განხორციელდა **1990 წელში**, სანამ საქართველოში მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები ჩატარდებოდა. კომუნისტურმა საბჭოთა საქართველოს უზენაესმა საბჭომ, იმ წლის გაზაფხულ-ზაფხულში, ორჯერ დაგმო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობის აშკარა სეპარატისტული მოქმედებანი და სპეციალური დადგენილებებით გააუქმა ისინი. ეს გაუქმებანი და პროცესტები, როგორც სამხრეთ ოსეთის ისე კრემლის მესვეურთა მხრიდან, უყურადღებოდ დარჩენ, კიდევ მეტი, აღგილზე, ცხინვალში გაგრძელდა სეპარატიზმის უკანასკნელი აქტის გათამაშება. ცხრა დაგემბერს მოაწყვეს დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები. საქართველოს ვერცერთი ხელისუფლება ამ ფაქტს ვერ მოითმენდა და ახლად არჩეულმა საქართველოს



რამ გადარია თამაზ ნასყიდაშვილი?

რესპუბლიკის ხელისუფლებამაც, ბ-ნ ზეიად გამსახურდით თავმჯდომარეობით, მიიღო ის ღონისძიება ავტონომიური ოლქის სტატუსის გაუქმებისაც. ამ გადაწყვეტილების მიზანი ცხადია, იქნებოდა რომ ყოველგვარი იურიდიული ბაზა მოეპოთ თვითმარქვია ოსების ლეგალური საქმიანობისათვის. ამ დადგენილების სისუსტე მდგრადადი იმაში, რომ მის ცხოვრებაში გატარებისათვის საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნდა საჭითარი მაიძულებელი ძალა, ის მთლიანად კრემლის სამაღლო იმყოფებოდა და უნდა ცოდნოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მას კი არ დაეხმარებოდა, არამედ ყოველ მხრივ დააბრკოლებდა. ამ გაგებით, ამ გადაწყვეტილების შესახებ შეიძლება რეზერვი არსებობდეს, კამათი და პაექტონბაც დასაშვებია, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ჯა მის მთავარ ავტორს რომ დააბრალო მთელი ტრალედია, მისი დაწყებაცა და განვითარებაც, ეს იქნება აბერაცია, ეს იქნება დიდი უსამართლობა. ამ უსამართლობას შეენებულად ჩადიან საქართველოს მტრები, მაგრამ რათ იმეორებს ამ უსამართლობას ქართველი კაცი, რამ აიძულა ეს ღვთის მოშიში მოწმუნე კაცი ცრუ მოწმობას, ცრუ ბრალმდებლობას?

ცრუმოწმობის, ცრუბრალდების, უსაშველო ცინიზმის ნიმუშს წარმოადგენს თ. ნასყიდაშვილის გამოსკვლა „ლო მონდში“. ზეიად გამსახურდია ჰიტლერი არ არის, ამბობს ის, მაგრამ თუ ახლოდაც დაგაკვირტებით, რაც ის ხელისუფლების სააზეში მოვიდა, ჩვენ მოწმე ვართ ნამდვილი ტრალედის, თავისუფლების საზღვრები სულ უფრო ფიტროვდება, შუღლი და მტრობა მატულობს, სისხლი იღვრება... ზ. გამსახურდია და მისი ბოროტმოქმედების მოზიარენი განუკითხავად თარეზობენ. მათი გადახვევა ფაშიზმისაკენ აშკარაა: უკიდურესი ნაციონალისტების წაქეზება, პოლიტიკური პარტიების მოხრიობა, პრესის დაშვენდებარება, განტევების ვაცის ძიება და სხვა. ხელისუფლება გადახლართულია დაწნაშავეობასთან. კავკასიაში ისედაც ხშირია მკვლელობა, მაგრამ ამდენს არასოდეს არ ჰქონებია ადგილი ... სამხრეთ ოსეთში ჭ. გამსახურდია ნაშდვილ გამანადგურებელ ომს აწარმოებს, საქართველოს მილიცია იქ პარალელური მილიციის სახით სისხლის დამნაშავეებს იყენებს და



აგრეთვე ინგუშებს. ინგუშების ეთნოსი ტრადიციულად სამხრეთ კავკასიაში, ისინი ნაჩოოტიკების საფულაციას ეწევიან კავკასიაში. როგორც ყოველთვის მაფია და ფაშიზმი აქაც ხელიხელჩაკიდებული მოქმედებები და სხვა, თანაც თვალს გვიპრავს და გვეუბნევა: მეტყვიან, რომ ამათი საბუთები არ გამაჩნია, მართალია! მაგრამ, ცნობილია, პალერმიშიცა და სხვაგანაც იტარიაში თუ შეერთებულ შტატებში ამაოდ ეძებენ განგსტერობის დამამტკიცებელ საბუთებს, ეს არ ნიშნავს რომ ის არ არსებობდეს. ხედავთ? აი ცინიზმის მწვერვალი! ასე ხომ ყველა უდანაშაულ შეგიძლიათ დასაჯოთ როგორც ბოროტმომქმედი? ეს ხომ პროკურორ ვიშინსკის სამართლია! მე ვერც კი წარმომედგინა, რომ თ. ნაცყიდაშვილ ცინიზმის ასეთი ნიჭი აღმოაჩნდებოდა! ახლა ისიც ვნახოთ თუ როგორ შეარჩია მან გამოსვლის მოვნილი.

1990 წლის 28 ოქტომბრისა და **11** ნოემბრის არჩევნებში დამაჯირებლად გაიმარჯვა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკურმა ბლოკმა, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით.

14 ნოემბერს უზენაში საბჭომ მის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ზვიად გამსახურდია. კორბაზიონები და კარმლის ხელისუფლებმა კარგად იცოდენ, რომ ზვიად გამსახურდიას გამარჯვების შემთხვევაში საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა დეზინფორმაციამ არჩევნების რეზულ-

*) საბჭოთა ხელისუფლებამ, **1944** წელში, ინგუშები მათ სამშობლოდან აჰყარა და შუა აზიის სტეპებსა და მთის ხალხისათვის აუტანელ კლიმატში გადასახლა, რასაც დიდი მსხვერპლი შეეწირა. ტირანის სკვერილის შემდეგ ამ საწყალ ხალხს რეაბილიტაცია და სამკვიდროში დაბრუნების უფლებაც უწყალობეს მაგრამ იქ ისები დახვდენ ჩასახლებული და მას შემდეგ ეს ორი მეზობელი ხალხები ერთმანეთის სისხლს ღვრიან ერთი და იგივე მიწაწყლისათვის. თ. ნაცყიდაშვილმა არ შეიძლება ეს ამბავი არ იცოდეს, მაგრამ ამას განვეძ მალავს, თანაც ინგუშებს (მთელ ხალხს და არა მის ნაწილს) მაფიად გვისახავს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს მისი დასაბუთების ოსურ წარმომავლობას. გ. წ.

რამ გადარია თამაზ ნასყიდაშვილი?

ტატის გამოცხადებასთან ერთად ის ხმებიც გაავრცელდ, რომ ქართველოში სამოქალაქო იმი დაიწყებათ. სამოქალაქო იმი არ დაწყებულა საქართველოში, მაგრამ კრემლმა კი გამოუცხადა მას და ზეიად გამსახურდი ას ფარული იმი. მივყვეთ ახლა მოვლენებს: საქართველოს რეპუბლიკის უზენაესი საბჭო გმობს საბჭოთა რუსეთის მიერ **1921** წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის ფაქტს, მის ანექსიას და ძალით შეყვინას საბჭოთა სახელმწიფოს შემაღენლობაში, ბათილად აცხადებს ყველა ამის შემდგომ ხელშეკრულებებს, როგორც ძალადობის შედეგებს. ძალადობა საფუძვლად ვერ დადება საერთაშორისო უფლებას. ამიტომ, როგორც კი შეწყდება ძალადობა, საქართველო გახდება დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

ა. წ. 3 მარტს გორბაჩივი აწყობს საკავშირო რეფერენდუმს სსრკ ერთობის თუ დაშლის შესახებ. ეს კიდევ ერთი აბსურდი გორბაჩივის „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პოლიტიკაში: რუსებს უნდა გადაეწყვიტათ მათი დაპყრობილი ხალხების თვითგამორკვევა. რასაკვირველია, საქართველოს მთავრობამ უარი თქვა მასში მონაწილეობაზე და **31** მარტისთვის თვით დანიშნა რეფერენდუმი საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით. ხმის მიმცომთა სამეცნიერებლზე მეტი ხმას აძლევს საქართველოს დამოუკიდებლობას. ზეიად გამსახურდიას მთავრობა ასრულებს მისი ხალხის ნებასურვილს და ცხრა აპრილს საზეიმო ვითარებაში აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ამცნობს მსოფლიოს და მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, მათ შორის, საბჭოთა მთავრობას, რომ იცნოს იგი. სულ ჩაღაც ორი კვირის შემდეგ ფრანგული გაზეთი „ლო მონდი“ აქვეყნებს თ. ნასყიდაშვილის „ტრისტ უორეის“. ამდროს საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები მართლაც „ტრისტები“ არიან, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველო ვერა და ვერ იქნებოდა უბედური, საწყალი, მოწყენილი, საბრალო!

დასკვნა. ბევრი, ძალიან ბევრი ვიფლებულები თუ „რამ გადარია თ. ნასყიდაშვილი“, რამ დაწერია ეს უხამსხაბა? ბოლოს და ბოლოს მანც იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის არ შეიძლება შეგნაბული მოღალატე იყოს მისი და ჩვენი დედასაშობლოსთვის და მე მისრჩევნია, ისევ დიდი ილიას ლოცვა აღვავლინო მამაზეციერი.- საღმი:



„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა:
არც სიმდიდრის, არც ღიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა ...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთავისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე,- არ იციან, ლმერთო, რას იქმან!“

გიორგი წერეთელი

*** *** ***

დამანგრეველი მიწისძვრები
სამშობლოში

29 ატრილს დაახლოებით შუადონისას ადგილობრივი დროით, ძლიერმა მიწის ქვეშა ბიძგებმა, რომელიც ეპიცენტრში, რიხტერის 12 ბალიან შკალით, 7.2 ბალს აღწევდა, მძლავრად შეარხია და დამიწის ქერქი საქართველოს ჩრდილო ნაწილში. ბიძგები განსაკუთრებით ძლიერი იყო ჯავის, ონის, ამბროლაურის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში.

საერთაშორისო წითელი ჯვრის ცნობით დაიღუპა 114 კაცი, დაკარგულია 70 და უსახლკაროდ დარჩენილთა რიცხვი აღწევს 67 ათასს.

იმავე ადგილებში იგივე სიძლიერის მიწისძვრა განმეორდა იმავე დღეს საღამოს 21 საათსა და 33 წუთზე, საბეჭნიეროდ მას მსხვერპლი აღარ მოჰყოლია. მესამედ ძლიერ მიწისძვრას იგი ვერერიტორიაზე ადგილი ჰქონდა სამ მაისს. ამჯერადაც მსხვერპლს არ იტყობინებიან.

ლრმად დაგვეძმუხრა ჩვენი ქვეყნის ამ ტრაღედიამ, დავსტირით მსხვერპლთ და ჩვენი თანაგრძნობა მათ ჭირისუფალთ.

გვწარა, ჩვენი ხალხი ამ გამოცდასაც წარმატებით გაუმკლავდება. ლმერთი მას უფლეს განსაცდელს, ვინც უყვარს და ვისაც დიდების მომავალს უმზადებს.



1991 წლის **18** აგვისტოს კვირადღეა. სიცხით და ავტორულებაზე გამონაბოლებული შეწუხებული ქალაქების მკვიდრნი ზღვისპირებსა და მაღალ მთებში გახიზულან, მარიამბის უქმეს ემატება „ხი-ოი“ და „ვიკენტი“. სიცხით დათვენთილ გარემოში მყუდროებაა. ახალსა და საოცარს, სენსაციურ ამბებს არავინ არ ელის, უზრუნველობისათვის მიუტია თავი კაცობრიობას, თვით ამა ქვეყნის მაჯისცემის მოყურადღე... და აა, სწორედ ამდროს მის თავზე მზადდება უშველებელი საშიშროება. სახელმწიფო ვადატრიალებაა კრუმლში, რეალურ ხელისუფლ ცხასაცა და მრისხანე არომ-ბირთვულ იარაღსაც უპასუხისმგებლო შეთქმულები ფლობენ. ორშაბათს დღით მსოფლიო იღვიძებს სენსაციური ამბებით: „სახელმწიფო ვადატრიალება სსრკ-ში“, „გორბაჩივი ჩამოვდებული უნდა იყოს“, „რანკები ყარაულობენ მოსკოვის ჭურებში“...

საგანვებო მდგომარეობის კომიტეტის ვან ცხადება...

პრეზიდენტი გორბაჩივი მძიმე ავადმყოფია. ივულისშმება, რომ ლაპარაკი არ შეუძლია. საბჭოთა კონსტიტუციის თანაბმად მას ცვლის მისი ყოფილი თანაშემწე გენადი იანაევი. მის ვარდა აჯანყების კომიტეტი დასახელებული არიან: მთავრობის თავმჯდომარე ვალენტინ პავლოვი, კავების თავმჯდომარე ვლადიმირ კრიუჩკოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბორის პუკო, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოლეგ ბაკულანოვი, თავდაცვის მინისტრი, მარშალი იაზოვი ... ერთი სიტყვით, ყველა მიხეილ გორბაჩივის მიერ დანიშნული მისი ახლო თანამშრომელი, კომიტეტი ექვსი თვით აცხადებს საგანვებო მდგომარეობას მთელ ქვეყანაში. დეკლარაციაში მთავარი ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა კავშირის ერთიანობის დაშლის საფრთხისაღმი.

დასავლეთის პოლიტიკური სამყარო თანდათან გონის მოდის, საბჭოთა კავშირის სპეციალისტები ცდილობენ ახსნან კრემლის გამოცანა. დამალული არავისთვის არაა, რომ საბჭოთა კავშირში უკვე დიდი ხანია, რაც მომწიფებულია სამხედრო ვადატრიალების პირობები. მთავარი გამოსარკვევი ისაა, გორბაჩივი შეთქმულების მსხვერპლია თუ, პირიქით, მისი თანაგმრინობი და, მაში, ორგანიზატორიც?

ტელევიზორით მოწმე ვხდებით უჩვეულო ამბებისა მოსკოვში: მოსკოველები წინ ელობებიან ტანკებს, რომლებიც აჯანყებულთა


 ბრძანებას ასრულებენ. მათი ერთი ნაწილი უძმობილდება: მიზნების ფესტან ტებას, ერთ-ერთ მათგანზე აღის ბორის ელცინი და მიმართავს ჯარს: არ შელახოთ რუსი მეომრის სახელი, არ ესროლოთ საკუთარ ხალხს. თავისუფლებისათვის მებრძოლი მთავარი შტაბი რუსეთის ფედერაციის ეგრძელ წოდებულ „თეთრი სახლის“ შენობაშია მოთავსებული, სადაც ტანკებისაგან გარშემორტყმული იმყოფებიან ბორის ელცინი, რუსეთის ფედერაციის საბჭოს დეპუტატები და სხვა რუსი ლიბერალების წარმომადგენლები. აშკარაა, რომ თავისუფლების ბანაკმა ბორის ელცინის სახით იპოვა თავისი გმირი, დემოკრატიული სამყაროს მეთაურებიც მას უჭერენ მხარს და მასთან ერთად მოითხოვენ გორბაჩოვის დაბრუნებას ხელისუფლების სათავეში.

დღის მიწურულისათვის უკვე აშკარაა შეთქმულთა დამარცხება. ოცში დილით სპექტაკლი შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს: შეთქმული ზოგი თაგს იყლავს, ზოგი ყირიმში მიემგზავრება გორბაჩოვთან შესაჩიგებლად, საღამოს გორბაჩოვს უკვე კრემლში მოელიან. რეაქციული შეთქმულება დამარცხდა. ამ ხელმოပარული სახელმწიფო გადატრიალების გაცვეთილი ის არის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ბიუროკრატიის დიდი უმრავლესობა, ჯარი, კაგებე და მთელი კომპარტიის აპარატი აჯანყებას თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა, თვითონ პრეზიდენტის საკითხი საიდუმლოებითაა მოსილი. არც რუსის მუეკის დაუდევს მაინც ამანც თავი თავისუფლების დასაცავად, არც რუსეთის ქალაქებში გამოსულან მილორები, მაგრამ: კეთილმან სძლია ბოროტა, არსება მისი გრძელია.

აჯანყება სწრაფად და უსახელოდ დამთავრდა. მოსალოდნელი იყო რომ ამის შემდეგ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება ძველი ტანტით გაგრძელდებოდა, რადგანაც ამაჩქარებელი ძალები არსად ჩანდენ, მაგრამ მოხდა ისეთი ამბავი, რომლის ახსნა კარტეზიანული მსჯელობის მეთოდით შეუძლებელია: ხალხთა თავისუფლების მტერთა შეთქმულება, თითქმს თავის წიაღმი თავისუფლებით იყო ფეხმძიმე დამარცხებასთან ერთად ამ ყრმის მშობიარობაც მოხდა და თუმცა მასზე არავის არ უზრუნველი და არც არავინ მოელოდა, იგი გამოდგა ხალხთა თავისუფლების მაუწყებელი მზეჭაბუტი.

ამრიგად,

მესამე იმპერია აღარ იქნება,

მოსკოვის იმპერიის მზე, თუ უკვე ჩასული არ არის უკანონობების
ცელად ჩადის.

მიხეილ სერგის ძეს იმპერატორობა არ უწერია...

მერე? მერე რა იქნება?

შეექმულების ბუშტის დაჩუტვისთანავე სრულიად ბუნებრივად ელცინის რუსეთი ასრულებს მიწაზე გაყრულ და პარალიზებულ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფუნქციას, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ ის ვინმესთვის საჭიროა, რომ, მიუხედავად უამრავი ოფიციალური განცხადებებისა, საბჭოთა სახელმწიფოს სული და მოძრაობაში მომყვანი მოტორი რუსეთია. მხოლოდ შემდეგ გაახსენდებათ, რომ კარსუკან რეაცუბლიკები დგანან, საჭიროა ცოტა მიწევ-მოწევა და მათთვის ადგილის დამობა. ულცინის უეცარი რეაქცია ბუნებრივია: რეაცუბლიკები? სად იყვენ ისინი გადატრიალების დროს? შეექმულებზე მხოლოდ რუსეთმა გაიმარჯვა, ნადავლიც მხოლოდ რუსეთისაა. მოღიქრების შემდეგ, საბოლოოდ მაინც რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ენიჭება უპირატობა: რეაცუბლიკებს ძვალი უნდა მიუვდონ, რომ თავი შეიქციონ. მაშინ ელცინის რეაქციას უტაქტობა და რუსული იმპერიალიზმის გამოვლინება უწოდეს. შეიძლება ეს სიმართლეს შეეფერებოდეს, მაგრამ საყურადღებო აქ ისაა, რომ ის ტიპურ რუსის მაგალითია., მისი რეფლექსი საშუალო რუსის რეფლექსია. საბჭოთა კავშირი ციცერ ადამიანთა ხელოვნური ნაგებობა იყო, რეალობა კი – რუსეთი და მისი სხვა ქვეყნებზე მმდანებლობის შენიღბვის, თვალის ახვევას ემსახურებოდა პირველი. ახლაც ეს ვაჟბატონები, პირველ რიგში მიხეილ გორბაჩივი, გონჩე მოეგევ თუ არა, დატრიალდენ, ვითომც არაფერი მომხდარო, ცდილობენ შეთითხნონ, შენიღბონ რეალობა, რუსეთის დომინაცია გაასალონ ხალხთა აზალი თანამევობრობის ნიმუშად.

ყველა დიდ რევოლუციურ გადატეხებს თან ახლავს მისი გზიდან გადახვევის ცდები, რევოლუციის ნაყოფის უსამართლო დასაკუთრება. ეს იმიტომ რომ ხალხი, მასა გულუბრყვილო და იოლად მოწმენია. დღევანდელ მოვლენებში ის ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. არარუსებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ თუ რა საშიშროების წინაშე იღვენ ისინი სახელმწიფო გადატრიალებას რომ



გაემარჯვა. ამიტომაც ადგილი არ ჰქონებია რესპუბლიკური მინისტრის მიერ ისინი თითქოს გაქვავებული შეხვდენ მეორეობრივის გამანადგურებელ ტალღებს და როცა მათ უკან დაიხიეს და დიდი სივრცე გაანთავისუფლეს, მათ ამითაც ვერ ისარგებლეს.

ამრიგად, ჩენ მოწმე ვართ ერთსა და იმავე დროს ისტორიის უსაშველო აჩქარებისა და ადამიანების უძრაობისა. ორი წლის წინად ასეთივე უცნაური ფენომენის მოწმე ვიყავით: ყველასთვის მოულოდნელად აზვავდა თავისუფლება აღმოსავლეთ ევროპის სივრცეზე, ერთიერთმანვაზე მიყოლებით ხუხულებივით დაემხვენ მოსკოვის სატელიტი ტირანული რეკიმები. თავთავიანთ ყაზარმებში უქმად დარჩენ ჩაკეტილნი უმძლავრესი საბჭოთა არმიები. მსოფლიომ პირველად შვებით ამოისუნთქა. დღეს კი, ორი წლის შემდეგ იგივე ფენომენი მეორდება, მაგრამ ამჯერად ადგილი აქვს ბოროტების სათავის რღვევის, საბჭოთა სახელმწიფოს თვითგანთავისუფლებას დამტრგუნველი ძალებისაგან. მისი შემცვლელი ძალები ჯერ უძრაობაში არიან. ამიტომაც: სსრკ დაემხო, მაგრამ იგი გრძელდება, ვითომც არაფერიაო. ეს მდგომარეობა არაბუნებრივია. ყოფნაც და არ ყოფნაც ერთად შეუძლებელია, ორში ერთი: ან რუსეთმა უნდა ისევ იმძლავროს და სისხლითა და ცრემლით ააგოს ხალხთა ახალი საპყრობილე, ანარადა ერთა თავისუფლებამაცა და თანასწორობამაც უნდა იზეიმონ, ერები მრგვალ მაგიდას უნდა შემოუსხდენ, მომავალი მათი ურთიერთობა მოლაპარაკებით და შეთანხმებით, ძალომორქობისა და ტყუილის გახეშე, მოაწესრივონ. ეს იქნება უდიდესი სიბრძნე ლმერთმა ინებოს, იგი შთაუნერვოს ადამიანებს, ვისაც ხალხთა ბედი აკისრიათ ჯერ საბჭოთა კავშირის სივრცეზე და მერე მთელს მსოფლიოში!

პ. ლუბაშვილი

რიჩარდ პაიპსი: „გორბაჩივი გათავებულია“

[კრემლის სახ. გადატრიალების დროს, გაზეთმა ფიგარომ რამდენიმე კითხვა დაუსვა პარვარდის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორს, პრეზ. რეიგანის ეროვნული უშიშროების საბჭოს სსრკ სექციის ლირექტორს, ღოქტ. რიჩარდ პაიპსს]

რიჩარდ პაიპსი: „გორბაჩივი გათავებულია“

ფიგარო – სახელმწიფო გადატრიალებამ გაგაცვირვათ? უკანასკნელი
რიჩარდ პაიპსი – სამხედრო ვაჯანყება მე ვიწინასწარმეტყველი
ჯერ კიდევ 1990 წლის ნოემბრიდან. მე, რა თქმა უნდა, აჯან-
ყების თარიღი. არ ვიცოდი, მავრამ ნიშნები ვროვდებოდნენ. გე-
ნერალები და თვით პოლკოვნიკებიც კი თვისუფლად აკრიტიკებდ-
ნენ გორბაჩივს. ეს უპრეცენდენტო იყო საბჭოთა არმიის ისტო-
რიაში. ეს ნიშნავდა, რომ ჯარმა ვაწყვიცა მასთან კაშშირი და
მზად იყო მის გადასაგდებად. შემდეგ, ლიტვის ამბები უკანასკნ-
ელ იანვარში. მხედრებს ჰქონდათ გეგმა ეროვნული სსნის კომიტ-
ეტის, რომელიც ბალტის რესპუბლიკებს დაიპყრობდა. გორბაჩივმა
უკან დაიხია, რისთვისაც ერთმა პოლკოვნიკმა საჯაროდ ბრალი
დასდგა ლალატში. მხედრობა ძალიან უკმაყოფილო იყო ცველაფერ-
ზე, რაც ხდებოდა, განსაკუთრებით შეერთებული შტატების დამა-
რტისათვის ერაყოთან ომისას ... შემდეგ ადგილი ჰქონდა კრიუჩი-
ვის გასაშერებელ საჯარო სიტყვას, რომ დასავლეთი ხელს უწყ-
ობს საბჭოთა სისტემის დამხობას.

ფიგარო – რა უნდათ ახალ ხელისუფლალთ?

რ. პაიპსი – თუ ხელისუფლების შენარჩუნება შეძლეს, ისინი ვერ
დაუბრუნდებიან სტალინის მეთოდს, არამედ ბრეუნევისას. რაც ამ
ხუნტას ესაჭიროება, ესაა კომუნისტური პარტია, სამხედრო ძა-
ლები, კაგებე, კომპარტიის საპროპაგანდო საშუალებები და ქონება.
ძალიან ძნელი არ იქნება სულის შემსუთავ მდგომარეობაზე დაბ-
რუნება, თუ ამას მიაღწიეს და ეს ნიშნავს ელცინის ასე თუ
ისე თავიდან მოშორებას, – ისინი შეეცდებიან დაუბრუნდენ 1985
წლის წინა მდგომარეობას. მაშინ დიდი აღარაფერი დარჩება გო-
რბაჩივის მოღვაწეებიდან. მავრამ მე არ მგონია, რომ აჯანყებამ
დიდ ხანს გაძლოს, არა უმეტეს რამდენიმე წლისა. ისინი ძირუ-
ლიდ უძლური არიან გადატრიან პრობლემები, რომელთა წინაშეც
იმყოფება ქვეყანა. მათ შესწევთ ძალა ხელისუფლების ხელში
აღების, მავრამ უძლურნი არიან მისი დიდ ხანს შენარჩუნების.

ფიგარო – როდის იქნება შესაძლებელი უფრი, ზუსტი ლიაგნოზ-
ის დასმა?

რ. პაიპსი – რამდენიმე დღეში გვეცოდინება. სრულიად შესაძლე-
ბელია, რომ ეს გენერლები ერთ თვეში ყველა წასული იყოს.
მათ არ იციან რას ამბობენ, როცა ირწმუნებიან, შეუძლიათ
გაუძღვნენ სახელმწიფოს. მოსალოდნელია, რომ მდგომარეობამ



ჰაირი და გამოცხადებას და გამოცხადების გენერალი „რომელი გენერალი“ დაზე ურდებას ხელს, ყაზარმაში იქნეს გაგზავნილი. თუ ეს გენერალები დამარცხდნენ და გორბაჩივი თავიდან იქნა მოშორებული, მაშინ სსრკ გათავებული იქნება მისი ახლანდელი ფორმით. საბჭოთა კავშირი მაშინ დაემსგავსება ბრიტანეთის კომონუნგის.

ეს ემსგავსება, რომ თითქოს სახელმწიფო გადატრიალება ლონდონში მომხდარიყოს 1950 წელში ბრიტანეთის იმპერიის აღსაღენად. მაშინ სსრკ აღარ იარსებებს. მას უკვე სიცოცხლე აღარ გააჩნია. ისინი შეეცდებიან, ძალით ჩაუდგან მას სული, მაგრამ ეს შეუძლებელია. ეს სახელმწიფო გადატრიალება წამოადგენს საბჭოთა კავშირის ნამდვილ აღსასრულს.

ფიგარო— გორბაჩივს შეუძლია რამე კიდევ?

რ. ჰაირი— გორბაჩივი გათავებულია. მე ვერ წარმომიდგენია, რომ ის ისევ დაბრუნდეს სცენაზე. ის აღარავითარ როლს არ თამაშობს შეხედულ ტელევიზორს, მასზე აღარავინ ლაპარაკობს, გარდა დასაცლების კორესპონდენტებისა. რუსებს ის აღარ უნდათ. ისინი მას აბრალებენ, რომ ქვეყანა დალუპვამდე მიიყვანა. გორბაჩივი თავიდანვე შეცდომებს შეცდომებზე უშვებდა. მან ვერ გაითვალისწინა მდგომარეობის სერიოზულობა და მხოლოდ გვიან შენიშნა მათი სიჩოლულე. მან სწრაფად დაკარგა პარტიისგან მიღებული ძალაუფლება და მას მერე დიდი აღარატერი გააჩნდა, რა საც დაეყრდნობოდა. მისი უკანასკნელი დიდი შეცდომა იყო, რომ მან ვერ შეუძლო არჩევნის გაცემება დემოკრატებსა და კონსერვატორებს შორის. მას ორივე კარტით უნდოდა თამაში და ორივე დაპკარგა.

ფიგარო— რა შეუძლია რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს?

რ. ჰაირი— მას შეუძლია გზა გადაულობოს გენერლებს. მასთან არის რუსეთის საზოგადოებრივი აზრი. ისაა ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი. ის არჩეული იყო. ის ავიდა ერთ იმ ტანკზე, რომელმაც უარი თქვა აჯანყებულთა ბრძანების შესრულებაზე და იქიდან მიმართა ჯარისკაცებს. იგი ძლიერი სიმბოლოა. ის წინ უნდა იღუდებეს, როგორც უკვე გააკვთა და მოუწოდოს პასიური წინააღმდეგობისაკენ, მემაღარისელებისა და ტრანსპორტის მუშაკთა გაფიცვისაკენ, მთლად უნდა შეაჩეროს ქვეყანა და მით აიძულოს, რომ ხუნტა გადადგეს. რეპუბლიკის სხვა ლიდერებთან



ერთად მან უნდა მოახდინოს გენერალური არჩევნები ტექნიკური და კულტურული კეთილმართვის თაოთვეულ მათგანის სტატუსი.

ფიგარო – ელინს შეუძლია შეუთანხმდეს შეთქმულებს?

რ. პაიპსი – არა, გადატრიალების წინ ეს შესაძლებელი იყო, ახლა კი – აღარ მისი სიტყვის შემდეგ, რომლითაც მან მოუწოდა გაფიცვისკენ, გადატრიალება არალეგალურად გამოაცხადა და მოუწოდა მისდამი დაუმორჩილებლობისაკენ. ეს ახლა შეუძლებელია, მისი პოლიტიკური კარიერა შეწყდება მაშინ.

ფიგარო – როგორი უნდა იყოს ამერიკის ხელისუფლების რეაქცია?

რ. პაიპსი – პრეზიდენტმა მტკიცე გაფრთხილება გააკეთა ახალი მთავრობის მისამართით, თვით გორბაჩივის აღდგენაც კი მოითხოვა. ეს ბევრია. ბოლოს და ბოლოს გორბაჩივი არაა არჩეული პრეზიდენტი საბჭოთა კავშირის. მე მგონია, რომ თეთრი სახლი არ უნდა ჩაერიოს იმაში: თუ ვინ მართავს ამ ქვეყანას, ამერიკის პრეზიდენტმა უნდა დაამყაროს ურთიერთობა ელინთან და სხვა რესპუბლიკების მთავრობებთან. ბუშმა ძალიან დიდი როლი მიანიჭა გორბაჩივს და მის მიღმა საბჭოთა კავშირს. მოსკოვში მოგზაურობა ვი ივლისს შეცდომა იყო. კიევში მისი მოგზაურობა, რომლის დროს მან გორბაჩივი აქმ, არის დიდი შეცდომა. გორბაჩივი კეშმარიტი დემოკრატი არ ყოფილა. ის რომ ასეთი ყოფილიყო, მას ამ ერთი ან ორი წლის წინად უნდა მოეწყო სრულიად ეროვნული არჩევნები ქვეყნის ახალი კონსტიტუციისა თვის და თუ ის არჩეული არ იქნებოდა, ის უნდა წასულიყო.

ფიგარო – მან მოატყუა დასავლეთი?

რ. პაიპსი – დასავლეთმა თვითვე მოიტყუა თავი. არცერთ ექსპერტს არ ჰქონებია ოდნავი იღუზია, გორბაჩივის რეუმის ხასიათის შესახებ, მაგრამ დასავლეთის მესვეურებს ისე სურდათ, რომ მის მხოლოდ კარგ მხარეს ხედავდენ.

საუბარი ჩაიწერა გაზ. ფიგაროს წარმომადგენელმა,

სტეფან მარგანია

რ ა მ ი ზ ა ნ ს ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ა უ რ ი ც ე ბ უ ლ ი
გ ა ზ ე თ ი „ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი“

წელს მაისსა და ივნისში, ორმოცდათი წლის შემდეგ პირველად, სამშობლოს უნდა ვწვეოდი. მამული ჩემი და ჩემი თანამემამულენი მოუთმენლად, სიყვარულით მიმღლდენ. საერთო სიყვარულით, ასე მეგონა მე, ყოველ შემთხვევაში. მაგრამ, თურმემწარედ ვცდებოდი: საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირებული გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 7 ივნისის თარიღით, დიდად განსხვავებულ – მტრულს, დვარძლიანს, ინტრიგანულს და, რაც კიდევ უარესია, ლაჩრულად სხვის ზურგს ამოფარებულ ცილისწამებებით საცსე მიღებას გვიმართავდა; რადგანაც მან უკომენტაროდ გამოაქვეყნა ალექსანდრე სულხანიშვილის „რა ხდებოდა მეტების ციხეში ქართველებ შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“.

ეს „წიგნი“, როგორც მას „ლიტ. საქართველო“ უწოდებს, ავტორიმა 1985 წ. დაარიგა ფოსტით ემიგრაციაში. მე მაშინვე 6 ნომერ გუშაგში გავეცი ლაკონიური პასუხი: „ალექსანდრე სულხანიშვილზე: ლირს პასუხის გაცემა, თუ არ ლირს? საკითხავი აი რა არის მან ამ წლის დასაწყისში გაავრცელა აჯაფსანდალი, სათაურით: რა ხდებოდა მეტების ციხეში ქართველებ შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“. არ ვიცი, თუ ის ბევრმა წაიკითხა. ჩემის აზრით, ვისაც არ წაუკითხავს, ბევრი არაფერი დაუკარგავს. სინამდვილე შიგ შეიძლება იყოს მეტების ციხის ამბები, დანარჩენი უშვერი ლანძღვა-გინება და უმსგავსო ცილისწამებაა ერთთავად ყველასი ნოე უორდანიდან დაწყებული თქვენს მონამორჩილ გიორგი წერეთლამდე.

ამბობენ: კაცი გაავებულია მოხუცების უამს, აღარავის ინდობს, განურჩევლად იკბინებათ. მე პირადად, ცოფიანის დაკბენილსაც ავიტანდი და შეეუნდობდი, მაგრამ ცილისწამება ისეთი საზიზღარი ბოროტება და დიდი ცოდვაა, რომ ის არც საიჭიოს და არც სააქაოს არ შეენდობა.“

ეს იყო და ეს, ის ამის მეტის ლირსი არ იყო, ისედაც

ჩვენს შორის ყველამ იცოდა მისი სიავე, რადგან მისგან დაკბენილთა სია შთამბეჭდავია: გაზ. „ქართული აზრის უფლებული რედაქტორს, მიტო სინჯიკაშვილს საბჭოთა აგენტობაზე დასაწყისიდან, რის წიმა ჯერ კიდევ საქართველოში დასაწყისიდან, რის გამო სულხანიშვილი ნიუ-იორკის ქართულ საზოგადოებიდან გააძევეს, რაც ერთადერთი შემთხვევაა ჩვენი ემიგრაციის ისტორიაში. ახლა რომ ძალიან აქებს და დიდ პატრიოტის ეძახის განსვენებულ ლევან ზურაბიშვილს, რაც სრული სიმართლეა, მაშინ მის ლანდლევა-თრევაში იყო, რადგან ლევან ზურაბიშვილი მას ჰკიცხავდა სინჯიკაშვილის მიმართ.

ვინაიდან სხვა პრესაში აღარ მიესვლებოდა, ლ. ზურაბიშვილის გარდაცვალების დიდი ხნის შემდეგ და მიხეილ ქავთარაძის რედაქტორიდან გასვლის შემდევ დაიწყო მისი „მოგონებების“ გზავნა რომ გამომექვეყნებია. ისინი ფაქტიურად მოგონებები კი არ იყო, არამედ უშვერი ლანდლევა პატივსაცემი ქართველების, რომელიც ზოგ შემთხვევაში, როგორც მაგალითად ქალბატონი თამარ პაპავა, უკვე მიცვალებული იყო. მისი ჩემით უკმაყოფილება აქედან იწყება. მე ვწერდი, რომ შეუძლებელი იყო ასეთი უხეში წერილების გამოქვეყნება. ჩვენი საზოგადოების სახელმისამართი და აწერ განსვენებულ თამარ პაპავაზე არ შეიძლება თქვათ: „სუ ტყუილია, „ტყუის“ და მისთანები. მაგასუხობდა: „ტყუილი როა მაშ არ ვთქო? ბ. ალექსანდრე, ნუ ამბობთ რომ სტყუის, თქვით რომ ცდება ან ეშლება, ვწერდი, მაგრამ ის თავისაზე იდგა. ასეთივე პრიმიტიული იყო ის განსვენებულ გიორგი კონას ძე წერეთლის მიმართ, რომელსაც ის პირდაპირ ბრალს სდებდა: ჰიათურა 24 საათით აღრე გამოიყანა, რომ სხვას არ დაესწრო სალაროდან ფულის გარიცებით დაოს შემდევ „ივერიის“ რედაქტორს, მიხეილ ქავთარაძეს აუხირდა: „რაც არ იცის იქ ეჩრება, სულ ტყუილებს წერს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი არ ყოფილა. რომ დარწმუნდა, რომ მის ნაწერებს არ დავუბეჭდავდი, თვითვე დაიწყო ბეჭდვა და გავრცელება. მისი მწერლური პროდუქციის შესახებ ჩემი გამოძახილი საკმარისი იყო მას არ მოწონებოდა, რომ მეც მიტო სინდიკელის დარად მომქცეოდა, საბჭოთა აგენტად გამოვეცხა-



დებიე, და მართლაც არ დაიგვიანა, 1985 წლის უზრუნველყოფა
იაში (ჩა მნიშვნელობა აქვს, თუ რა პეტიონ მას) თავისებუ-
რად დამწამა: „ბატ. წერეთელი თურმე ყოფილი ნამდვილი
ენერგიული და ფლიდი მარქსისტი, მას ეგონა პატრიოტული
წერილების ბრახაბრუხით თვალებს აუბავს ქართველ საზოგა-
დოებას. ბატ. წერეთელმა თავის „გუშაგს“ ჯერ ყდა შეუ-
წითლა, და თუ კარგი ამინდი დაუდგებოდა, მთლად გააწი-
თლებს ისედაც წითლების გუშაგს.“ „ბატ. წერეთლის საქცი-
ელს როდესაც უცკვირდებით, ძალაუნებურად ვრწმუნდებით,
რომ ბატ. წერეთელი განგებ დასტოვეს კომუნისტებმა ქარ-
თველი ემიგრაციის ასარეც-დასარეცად ...“

ქაქუცა და შეფიცულნი, შეფიცულნი და ქაქუცა ულამა-
ზესი და უძეირდებასესი სახელებია თავისუფლებისათვის ია-
რალით მებრძოლი საქართველოსი. ჩეალურად რომ არ არსე-
ბულიყვენ, ისინი ქართულ ფანრაზიას უნდა შეეთხზა. რა
სავალალოა, რომ მათ დღევანდელი საქართველო ა. სულხა-
ნიშვილის „ჩემი მოგონებანი“-თ ეცნობა. ჰოდა, როცა ეს
დიდებული ლეგენდა არსებობს, იგი არ უნდა შევლახოთ
ჩვენი სიბრივეთ. მეც ამიტომ ვერიდებოდი. „შუშუს“ რო-
გორ გამოვყენებოდი. მით უმეტეს, რომ ემიგრაციაში ჩვენ
ორივეს გვიცნობდენ. მაგრამ სულ სხვაა საქართველოში მი-
სი უკომენტარებოდ გამოქვეყნება. ჩემთვის სრულიად აუ-
ხსნელია, თუ რა მიზანს ემსახურება „ლიტერატურული სა-
ქართველო“, როგორც დაზარალებულს მაქვს სრული უფლე-
ბა, რომ ახსნა-განმარტება და ბოდიშის მოხდა მოვთხოვო
მის მთავარ ჩედაქტორს, ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს.

გიორგი წერეთელი

მოღალატეების სიკვდილით დასჯას მოითხოვენ

ფრანს-პრესი მოსკოვიდან გადმოსცემს რუსეთის საინფორ-
მაციონ სააგენტოს ცნობას, რომ ორგანიზაცია „ედინსტევოს“
ხელმძღვანელი ორგანოს წევრმა ვი ქტორ პრიშჩენკომ, რო-
მელიც, შაბათს თ აგვისტოს, საორგანიზაციო პლატფორმის
კონფერენციაზე გამოვიდა სიტყვით, წაიკითხა სია საერთა-



შორისო განსაკუთრებული სამსახურის „დაქირავებული უკანასკნელი“ ენტების“, რომელშიც პრეზიდენტები: ზ. გამსახურლია და ლინდსებერგისიც იყვენ ნახსენები, – რომელიც ცდილობენ დაამხონ ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო მსოფლიო-შიო, მან კრებას მოუწოდა, რომ ისინი მოთხოვლინი იყვენ ტრიბუნალის წინაშე და დაისაჯონ სიკვდილით როგორც სახელმწიფო კრიმინელები.

*** ***

რაღაც აწუხებს შევარდნაძეს

წერილში, რომელიც **12** აგვისტოს ინგლისურ გაზეთ *The Independent* - ში გამოქვეყნდა, შევარდნაძე ამბობს, რომ: „საბჭოთა კავშირში აჩქარებულად მიმდინარეობენ დამან-გრეველი პროცესები და ჩვენ გვათვითებს,, რომ საბჭოთა ხალხი ჰქაობავს აუნაზღაურებელ დროსო და სხვა...“

შევარდნაძე ბრალს დებს გორბაჩივს

სახელმწიფო გადატრიალების დროს შევარდნაძემ საფრანგეთის ტელევიზიის პირველ ჯაჭვს განუტადა, რომ გორბაჩივის მიერ მისი პოსტის დატოვება ამ დროს იყო უხეში შეცდომა, მე მინდა მჯეროდეს, რომ ის მსხვერპლია ამ შეთქმულების და არა მისი თანამზრახველიო.

ტერორი კავკასიაში

15 მკვდარი **15** მძიმედ დაშავებული სამგზავრო მატარებელში, რომელიც მოსკოვს აკავშირებს ბაქოსთან, მომხდარა აფეთქების შედეგად, იტყობინებიან მოსკოვიდან. ეს მეოთხე შემთხვევა ყოფილია ამ წლის დასაწყისიდან. რკინიგზის სამინისტრომ დახმარებისთვის მიმართა კაგებეს, შინაგან და თავდაცვის სამინისტროებსო, ნათქვამია კომუნიკეში.

შეცდომის გასწორება

„გუშაგის“ წინა ნომერში: **29** გვერდზე, ბოლოდან მეორე გწკარში გაპარულა მექანიკური შეცდომა, არის: „სარევი-

ზომ კომისიის თავმჯდომარე: პაატა ნაცვლიშვილი. უხდა
იყოს ... პაატა თანდილაშვილი.

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო გ ა ნ ჭ ო ფ ი ლ ე ბ ა

წელს ხუთ მაისს, 76 წლისა, გარდაიცვალა კოლია
(ნიკოლა) სარალიძე, 13 მაისს მიბარდა ლევილის მიწას.

გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა მ ე ლ ი ტ ო ნ ჟ ღ ე ნ ტ ი



წელს 16 ივნისს, 85 წლის ასაკში, სოჭო-
მონბელიარში (Dep. Doubs) გარდაიცვალა
მელიტონ ჟღენტი. აწ განსვენებული
დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბუქსი-
ეთში აზნაურის ოჯახში. სულ ახალგაზრდა
ჩაება სამშობლოს განთავისუფლების ბრძო-
ლებში და აქტიური მონაწილეობა მიიღო
1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. დამარ-
ცხების შემდეგ იძულებული იყო სამშობლო
დაეტოვებია და საფრანგეთისთვის შეეფა-
რებია თავი. სამშობლოს საზღვრები ერთად

გადმოვლახეთ: ირაკლი საყვარელიძემ, ვანო შარაბიძემ, მი-
ხეილ ბურძგლამ, ალექსანდრე (საშა) მელიავამ, შოთა ბერე-
ჟიანმა. მელიტონმა თავიდანვე პერის ქარხნებში დაიწყო
მუშაობა და სოჭოში დარჩა ბოლომდე საცხოვრებლად, სად-
აც ის დაოჯახდა. მისი მეუღლე, ქალბატონი ნინო წარმო-
შობით ბულგარელია, ჰყავთ ორი შვილი და ორი შვილიშვი-
ლი. მელიტონი გახლდათ აქტიური წევრი სოჭო-მონბელიარის
ქართული საზოგადოების. აღარ გვყავს მხურვალე მამულიშ-
ვილი, ოჯახის მოყვარული და მზრუნველი, გულისხმიერი და
ერთვული მეგობარი. მშვიდობით, ძმა, საუკუნო იყოს ხე-
ნება შენი. ამინ!

შოთა ბერეჟიანი



წელს აგვისტოს უკანასკნელ დღეებში, ქალ-
აქ კლამარში მოხუცი, უავადმყოფოდ გარ-
დაცვალა გიორგი (უორუიკა) უორე გრიგო-
ლაშვილი, დაბადებული 1904 წელში ქუთა-
ისში.

აწ განსვენებული სოციალ-დემოკრატიული
პარტიის იდეური წევრი იყო. ის ადრე ჩაე-
ბა ეროვნულ და პარტიულ მოღვაწეობაში,
იყო აქციური წევრი ქ. ქუთაისის და იმერ-
ეთის აჯანყების მზადების ორგანიზაციების.

გიორგის პარტიული მოღვაწეობა საფრან-
გეთშიც არ შეუწყვეტია, კულტურული, ვა-
ნათლებული კაცი, ის სიყვარულით

ემსახურებოდა საქართველოს ვანთავი-
სუფლების საქმეს საზღვარგარეთიდან, ყოველგვარი დაინტერე-
სების გარეშე, ის ერთ ხანს ნოე უორდანიას პირად მდივნობა-
საც ასრულებდა. გიორგი წარმოსადევი, შესამჩნევი პირი იყო
საზოგადოებაში, იყო თამამი და კარგი მოსაუბრე, ქართულს
მონატრებულმა ზოგჯერ ზომა აღარ იცოდა, მეგობრები ქირქი-
ლობდენ, რომ გაგვიანდებოდეს გრიგოლაშვილი შეგეყაროს.
ამ ბოლო წლებში თითქოს გული გაუტყდა ადამიანებზე, იშვი-
ათად გამოდიოდა საზოგადოებაში, თითქოს ამჭვეყნიური ამაო
ფუსფუსი აღარ აინტერესებდა, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო...
ის ბოლომდე ერთგული დარჩა მისი ფეხსვების, მეგობრების,
მრწამსის, მამულის. ღმერთო, შეუნდე რაც კი შეგცოდა!

ნაცნობი

გუშაგის ფონდი

მიშა კელიძე	154	მელიტონ უღენტი	150
ალ. მანველიშვილი	508	დიმიტრი გოგიშვილი	139
მირიან მელუა	300	რობენ გვერაძე	250
ედით ბეგიაშვილი	500	ვლ. შაქარაშვილი	518
ავთანდილ ფარჯანაძე	1 000	შალვა ციმაკურიძე	104

დავით თორაძე		1.000
ილსე ბარათელი	500	
ექვთიმე ენდელაძე	205	
ლადო რუხაძე – პეტრე ჭირიაშვილის მოსახსენებლად –	700	
შოთა ბერეჟიანი – მელიტონ ელენტის ყვავილების მა-		
	გიერ	– 500
ციცა ბერიძე –	–	200
ქეთევან ბარნოვი –	–	500
ანონიმი შვეიცარიიდან – ბ. ვიქტორ და გიორგის და		
ქალბატონ ლიდა ნოზაძეების მოსახსენებლად –		– 1.000

კ ა მ ი 8.328

*** *** ***

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა ს ფ თ ნ დ ი

ლადო ბაბიშვილი	120	მალხაზ მიქაძე	100
შალვა ანთაძე	100	ვლ. შაქარაშვილი	104
ირ. ოთხმეზური	408	პარიზელი ანონიმი	1.000
ლადო რუხაძე	500	ვახტანგ საყვარელი	260
სოსო კორელიანი	304	ექვთიმე ენდელაძე	100

კ ა მ ი 2.996

მ. კოსტავას ფონდის საბოლოო ანგარიში

წინამდებარე 2.996 ფრანგულ ფრანკს თუ მივუმატებთ
წიგნში: „ფიქრები საქართველოს მისიაზე“ გამოქვეყნებულ
შემოწირულებათა საერთო თანხას **29.626** ფრ. ფრანკს
ერთად იქნება **33.123** ფრ. ფრანკი.

წიგნის გამოცემაზე და დაგზავნაზე სულ დაგხარჯეთ
24.413 ფრ. ფრანკი. მარიგად სალაროში დარჩა: **8.710** ფრანკი.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს თანხა ჩავრიცხოთ საქართვე-
ლოში უკანასკნელი მიწისძვრით დაზიანებულთა და დადუპუ-
ლთა ოჯახების დახმარების ფონდში.

კრემლის ყბადილებული სახელმწიფო გადატრიალური ტური როგორც მოულოდნელად და სწრაფად გაიპერა, ისევე დაიჩურა, რა იყო ის, რეალობა თუ სპექტაკლი? ამ კითხვას მხოლოდ მომავალი გასცემს პასუხს. ყოველ შემთხვევაში, ვერავინ შეამჩნია, სად გაქრენ შეთქმული და არც არავის მოსვლია აზრიდ, რომ პატიმრობიდან განთავისუფლებული პრეზიდენტისთვის ეკითხნა, თუ სად მიიღო ასეთი მშვენიერი მზის ვანები? და ამ საბედისწერო მომენტში ვის განკარგულებაში იყო ატომ-ბირთვული იარაღის ასაფეთქებელი ღილაკი. სამაგიეროდ არავის დავიწყნია წინ მიგებებოდა, ბარაქა მიელოცა და ერთგულება შეეფიცა. არც დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს დავიწყნიათ გაცემული თამასუქების განახლება და უპირობო მხარის დაჭრა მის საყვარელ პერესტროიკაზე. გორბაჩივმაც ალბათ ჩაიღიმილა უულვაშო საულვაშეში: „ჟურდს რა უნდა და ბნელი ღამეო.“

ჰოდა, ვითომც არაფერიც არ მომხდარა, ბრძანება გასცა ვასალ პრეზიდენტებზე: დაუყოვნებლივ შემოკრბით ჩემს ირგვლივ! ხომ ხედავთ მსოფლიომ უპირობოთ ნდობა გამომიცხადა, თქვენ ხომ ნაკლები არ ხართ, მოაწერეთ აგერ ხელი სამოკავშირეო ხელშეკრულებას მუხლები კი შემდევში დავაზუსტოთ, უჩვენა თეთრი ქალალდი და სათითაოდ მიიწვია.

სულ ახლახან შესრულებულ შპუტჩის შიშით ჯიქურად ვერავინ უარის თქმა ვერ გაბედა, გარდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასი. რასაკვირველია, გორბაჩივი განრისხდა, დაემუქრა მას.

მართლაც, ამ უკანასკნელ დღეებში მოსკოვიდან მომავალი ინფორმაციები საეჭვოდ დიდ აღვილს უთმობენ საქართველოს მმართვებელს. თურმე დიდი მღელვარებაა საქართველოში, მანიფესტანტები გარს შემორტყმიან მთავრობის სასახლეს და მოითხოვენ ზვიად გამსახურდიას გადადგომას, ერთნი წერენ, რომ მათ ცეცხლი გაუხსნეს და დაჭრილია ცხრა დემონსტრატი, მეორის მიხედვით, ცეცხლის სასროლი იარაღით კი არავინ დაჭრილა, არამედ ხელშეტითაა დაბეგვილი ორი თუ სამი კაცი. არცერთი ამ ამბის ავტორი თვითმხილველი არ არის. მათი კორესპონდენციები უგულოთ და უშნოთ არიან დალამ-

ბული, ჩანს, რომ მათ წარმოდგენა არ აქვთ, რაზედაც უკრისა
პარაკობენ. გულის ამრევია მათი ვითომელდა ცოცხალი საუ-
ბრები გამსახურდის მომხრებთან თუ მტრებთან. ყველა ის-
ეა შერჩეული, რომ საქართველოს პრეზიდენტზე მკითხველს
შეუჭმნას უკეთურობის, ვომბის, მტრობის განწყობილება.

ასეთი მიღომა გასაგებია კრემლის იმპერიალისტ ხელისუფალ-
თვან, მაგრამ როგორ ავხსნათ საერთაშორისო ინფორმაციის
მსახურთა ხმაშეწყობილი ლიტანიობა ეროვნული დამოუკიდე-
ბლობის ჩემპიონის წინააღმდეგ? რომელსაც ხმას აძლევს და
მიყვება ქართველი ხალხის ოთხმოცდათი პროცენტი? რად
სტყუიან ასე უსაშველოდ და რად ატყუებენ ქვეყანას?
ნუთუ სინდის-ნამუსისგან სულ მთლად გაირეცხენ!!!

გ უ შ ა გ ი

პარიზი, 31.VIII. 1991.

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი დ ა წ ი გ ნ ე ბ ი

პროფესორი გურამ შარაძე

ამ ქართველს გაცნობა აღარ ესაჭიროება ჩვენს ემიგრაცია-
ში. მან უკანასკნელ წლებში მოჰერი დასავლეთი სამყარო
შემოიარა თანამემამულების მოძიება-მოხილვის მიზნით.
პარიზ-ლევილს ის ორი წლის წინად გაეცნო პირველად. ამ-
ჯერად მას თანამშრომლად ვაჟიშვილიც წამოეყავანა, ყოველ
მხრივ შემკული ახალგაზრდა. თავს უკვე შინაურულად გრ-
ძნობდა. მოვიდენ. გადამეხვიდრ. სულიც არ ჰქონდა მოთქმუ-
ლი, რომ ვაჟასებურად დაიწყო მისი შემოქმედების ამოღაგე-
ბა. ეს, ბარონ გიორგი, თქვენ მოგართვითო. წიგნი ილია
ჭავჭავაძეზე, რომლის პირველი ტომი, 1987 წელში გამოცე-
მული უკვე ორი წლის წინად მისახსოვრა, სქელტანიანი,
მდიდრულად და გემოვნებით გამოცემული ფოტომატიანე, ალ-
ბომი, ისტორია, ერთი სიტყვით, ყველაფერი ილიასი და ილიას
შესახებ, ახლად ნაავადმყოფარ კაცს ხელში აწევა რომ გა-
მიჭირდა, ნამდვილად შესაფერი ნობათია უდიდესი ქართველ-
ის 150 წლისთავისადმი.

არანაკლებად აღსანიშნავია ბ-ნი გურამის: „უცხოეთის



ცის ქვეშ“, წიგნი მატიანე ჩვენი ეროვნული ემისტოლოგიური რა გასაკვირია, თუ მე მთლად ვერ გავიზიარებ ავტორისე-ულ შერჩევასა და დალაგებას, მაგრამ ეს ვერ დამიშლის, რომ აღვნიშნო მისი როგორც შემდგენელის კეთილსინდისიერება, მოსაწონი მიუკერძობლობა, უეცარი განვერეტის უნარი, სერიოზულობა. სწორედ გასამცარია: როგორ ასწრებს ეს კაცი ყველაფერს! მუდამ გზაში-მოგზაურობაშია და მაინც ჩხრეკს, აწარმოებს მეცნიერულ კვლევა-ძიებას, მტვერ-სა და ნაგავში ეძებს და აგრძვებს წიგნებსა და მასალებს, სცემს სქერტანიან წიგნებს და ეწევა სასარვებლო საზოვა-ფოებრივ-ეროვნულ მოღვაწეობას, როგორც მავალითად სამართაბლოს მატერიალურ-კულტურული აღორძინების საზოგადოების თავმჯდომარე. მარჯი შენს მარჯვენას, მევობარო!

ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლების და მათ თანამდგომთა საკრებულო. სამშობლოდან ვვატყობინებენ, რომ იქ შექმნილა, უკვი ოფიციალურად რეგისტრირებულია და მოქმედებს კიდევაც ასეთი სახელწოდების თვითმოქმედი საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს: ააღორძინოს ქართველ თავადაზნაურთა ძველი ტრადიციები, მოიძიოს დაკარგული და გამჭრალი ძველი ქართული სახელოვანი ვეაჩები, შექმნას სათანადო მასალების არქივი და სხვა.

დაწვრილებით ცნობებისთვის შევიძლიათ მიმართოთ:

ბ. შაქრო ჯორჯაძე; ობილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი, ბინა 80.

პირადი აზრი: ასეთი დანიშნულების დაწესებულება სასარგებლო იქნება ჩვენი ეროვნული წარსულის უკეთ შესწავლა-გაგებისათვის. მხოლოდ ის ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ მან, შეიძლება მისდა უნებურადაც, ხელი არ შეუწყოს ჩვენი ერის წიაღში ურთიერთ განსხვავებულობის, კლასობრივობის, წარმოშობით მეცნიერების გრძნობების გაღვივებას. ქართველები ურთიერთს წარმოშობით არ უნდა აფასებდენ.

განცხადება— ცნობა.

ძვ. მკითხველო და მევობარო, ვალდებულად მიმაჩნია თავი

 გაცნობოთ, რომ ამ სექტემბრის ბოლოსთვის გადატერებული
 გვაქვს, მე და ჩემს შეუღლეს, ვიმზავროთ სამშობლოში,
 ნახევარი საუკუნის განშორების შემდეგ, ხელახლა აღმოვა-
 ჩინო იგი და ამავე დროს ადგილობრივად უკედ შევამოწმო
 მისი მაჯის ცემა. მაშ, არ გეთხოვებით, მშვიდობით მენახოთ,
 თქვენი გ. წერეთელი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

- | | | |
|-----|---|--|
| 1. | იმედსა და ეკვს შორის | მოწინავე |
| 13. | რამ გადარია თამაზ ნასყიდაშვილი? | |
| | „ტრისტ უორჟი?“ | გ. წერეთელი |
| 26. | მიწისძვრები სამშობლოში | |
| 27. | ეფემერული სახელმწიფო გადატრიალება | კრემლში პ. ლუბაშვილი |
| 30. | რ. პაიპსი: გორბაჩოვი გათავებულია - სტეფან მარშანი | |
| 34. | რა მიზანს ემსახურება „ლიტერატურული საქართველო“? | გ. წერეთელი |
| 36. | უკანასკნელი დროის ამბები მოსკოვიდან | რედაქცია |
| 37. | შეცდომის გასწორება: | „პაატა თანდილაშვილი და არა პაატა ნაცვლიშვილი |
| 38. | სამგლოვიარო განყოფილება. | |
| | გარდაიცვალა მელიტონ ულენტი | შოთა ბერეჟიანი |
| | გიორგი გრიგოლაშვილის გარდაცვალება | |
| 39. | გუშაგის ფონდი | |
| 40. | მერაბ კოსტავას ფონდი | |
| 41. | დაგმობა, განცხადების სახით | გ უ შ ა გ ი |
| 42. | ადამიანები და წიგნები | |
| | პროფ. გურამ შარაძე | |
| | ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლების და მათ | |
| | თანამდებობით საკრებულო | |
| | განცხადება-ცნობა | გიორგი წერეთელი |
- *****



GOUCHAGUI

*PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE
(POLITIQUE - LITTERATURE - MÉMOIRES)*

Directeur : GEORGES TSERETELI
ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE